ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

„მრეწველები“ „ოცნებაში“ ბრუნდებიან?

გვ.4

1 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ორშაბათი, 5 ივნისი, 2017 №131 (7366) ფასი: 50 თეთრი

„აფგან მუხთარლის 2 გამჭაცებელი პოლიციის ფორმაში იყო“

გვ.7

მამუკა არეშიძე: „მუხთარლის გატაცება ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა“

გვ.2

„მიუხედავად იმისა, რომ მუხთარლი და მისი მეუღლე ოპოზიციაში ედგნენ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, მე არ შემიძლია იმის თქმა, რომ ისინი იყვნენ იარაღის ძალით დამხობის მომხრენი“

„თბილისიდან ემისრები ჩადიოდნენ საზღვარზე და სოლიდურ თანხას გადასცემდნენ თავიანთ აქტივისტებს აზერბაიჯანში“

რამაზ საყვარელიძე: „მუხთარლის ინციდენტის თავიდან აცილება საზღვარზე შეიძლებოდა“

გვ.3

ფარცხალაძის გუნდი ხელისუფლებიდან მიდის?

გვ.4

მიხეილ ჩოხელის შემდეგ თანამდებობას გიორგი ბადაშვილი ტოვებს

ზაალ კასრელიშვილი: „დროა, რუსეთის დვალეთის დაბრუნება მოვთხოვოთ“

გვ.5

„ხელისუფლება გუგულის კვერცხებით არის სავსე“

მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილმა აშშ-ში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მასალები გაგზავნა“

გვ.4

ISSN 1987-9385

„ბუნებრივი აირის გაძვირებას უნდა ველოდოთ“

გვ.6

მამუკა არეშიძე: „მუხთარლის გატაცება ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა“

ნონა ცაბაძე

რა ძალები დგანან აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცების უკან? რამდენად შედიოდა ხელისუფლების ინტერესებში ეს სკანდალი? რა საქმიანობას ეწეოდნენ საქართველოში აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და მისი მეუღლე? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, სერიოზული აჟიოტაჟი და სკანდალი მოჰყვა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების ფაქტს. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ და რას გვეტყვით აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით?

– თვითონ ამ ფაქტთან დაკავშირებით უამრავი ვერსია ვრცელდება და ძირითადი საყვედური ხელისუფლების მიმართ არის. მეც ვსაყვედურობ ხელისუფლებას და მასთან პრეტენზიები მაქვს, მაგრამ არა იმის გამო, რის გამოც ზოგიერთი პოლიტიკური პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია აფიქსირებს პოზიციას.

– თქვენ რის გამო საყვედურობთ?

– მე ვსაყვედურობ იმის გამო, რომ რეაგირება დააგვიანეს და მეორეც, ჩინოვნიკების, სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელების მიერ საზოგადოებისთვის მიცემული ახსნა-განმარტება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

– არაკომპეტენტური შეფასებები კეთდებაო. ასეა?

– რასაკვირველია. არ შეიძლება, ხალხს ასე მოეპყრა, საზოგადოებას, რომელიც ქვეყნის პრესტიჟით არის დაინტერესებული. სამწუხაროდ, ამ ჟურნალისტს ბევრი არავინ იცნობდა საქართველოში. ჟურნალისტია თუ ვინც არის, მე ცოტა სხვანაირი ინფორმაცია მაქვს მის ჟურნალისტურ საქმიანობასა და გამოცდილებასთან დაკავშირებით.

– რა ინფორმაციებს ფლობთ ამის შესახებ?

– სხვა ინფორმაციები მაქვს, მაცალეთ და მაგასაც აუცილებლად გეტყვით. მე უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ თვითონ ადამიანის გატაცების ფაქტზე, მეზობელ ქვეყნის ტერიტორიაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, ბევრად უფრო მკაფიო და გააზრებული უნდა ყოფილიყო ხელისუფლების პოზიცია. აი, სწორედ ეს მაქვს ხელისუფლებისთვის სასაყვედურო. ახლა რაც შეეხება თვითონ ამ ადამიანს.

– იცით მისი ბიოგრაფია?

– მუხთარლი თავის დროზე ფოტორეპორტიორიც იყო, მერე ჟურნალისტობდა კიდეც. თუმცა გააჩნია ჟურნალისტს. ის იმ დონის ჟურნალისტი არ ყოფილა არასოდეს, რომ პრობლემატური ყოფილიყო ხელისუფლებისთვის ან განსაკუთრებით საზოგადოებისთვის ცნობადი ყოფილიყო. ჩემი აზერბაიჯანელი კოლეგები, მაგალითად, არც იცნობდნენ მუხთარლის, როგორც ჟურნალისტს, მაგრამ იცნობდნენ, როგორც ოპოზიციის აქტივისტს. მისი მეუღლე ბევრად ცნობილი ჟურნალისტი იყო და ძალიან მაღალი კვალიფიკაციის ჟურნალისტია ახლაც ლეილა.

– მუხთარლის მეუღლემ უარი განაცხადა საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე.

– დიახ. ეს კვირიკაშვილის ინიციატივა იყო და ამის გაკეთება შესაძლებელი იყო ცოტა ადრეც. თუ საშუალებას მომცემთ, ცოტა შორიდან დავიწყებ ამ ამბის ისტორიას. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ წინა რეჟიმის პერიოდში ბევრი ქვეყნის წარმომადგენელმა საქართველოში იპოვა თავშესაფარი. ჩემი დათვლით, 10-12 ქვეყნის წარმომადგენელი საქართველოში თავს აფარებს პოლიტიკური მოტივით.

– ყველა მათგანი საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების ოპოზიციაშია?

– ყველა მათგანი თავისი ქვეყნის ხელისუფლებას არ უდგას ოპოზიციაში. ზოგ შემთხვევაში ესენი არიან საომარ კონფლიქტებს თავს გამორიდებულები, ერაყიდან, სირიიდან,



„თბილისიდან ემისრები ჩადიოდნენ საზღვარზე და სოლიდურ თანხას გადასცემდნენ თავიანთ აქტივისტებს აზერბაიჯანში“

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ხელისუფლების ოპოზიციაში არიან, ან არ მოსწონთ ხელისუფლება და საქართველოში უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს.

რომ გადახედოთ ჩვენს ლტოლვილთა ბანაკებს, იქ არიან უკრაინის, რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები. თავისუფლების ხარისხი იმდენად მაღალი უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში, რომ ვიღაცისთვის მომხიბვლელი იყოს აქ ცხოვრება, მაგრამ ხაზგასმით ვამბობ, არა იმათთვის, ვინც თავისი ქვეყნის ხელისუფლების იარაღით დამხობის მომხრეა.

– მუხთარლი და მისი მეუღლე აზერბაიჯანის ხელისუფლების ოპოზიციაში იყვნენ?

– მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ოპოზიციაში ედგა აზერბაიჯანის ხელისუფლებას, მე არ შემიძლია იმის თქმა, რომ ისინი იყვნენ იარაღის ძალით დამხობის მომხრენი. მე ამის დამამტკიცებელი მასალა არ მაქვს.

– იატაკქვეშა საქმიანობას მართლა ეწეოდნენ?

– მე ამას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, რადგან საკმარისი ინფორმაცია ამის თაობაზე არა მაქვს. მე ზუსტად რაც ვიცი, არის ის, რომ ამ ცოლ-ქმრის ცხოვრება აქ ნამდვილად არ იყო ღარიბული. ასევე მათიც, ვინც აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან არიან. აქვთ კარგი ფინანსური სახსარი, რათა აქ კომფორტულად იცხოვრონ.

– ამით რის თქმა გინდათ?

– მე არაფერზე არ ვაკეთებ განსაკუთრებულ აქცენტს, უბრალოდ ფაქტს ვამბობ. ისინი ახერხებენ თანხების მოზიდვას, რომ აქ იცხოვრონ. საიდან, როგორ, ეს ჩემთვის უცნობია. აზერბაიჯანის ხელისუფლება რომ მათ არ დააფინანსებს, ეს ცხადია.

– საუბრობენ იმაზეც, რომ ჩვენს ქვეყანაში მომრავლდნენ ის ძალები, რომლებიც აქედან ფარულად ებრძვიან აზერბაიჯანის ხელისუფლებას. ამის თაობაზე გაქვთ ინფორმაცია?

– სწორედ ეს საქმე და ეს ცოტა საფრთხილო თემაა. ერთ-ერთი ასეთივე აქტივისტი 2017 წლის მარტში საქართველოს ხელისუფლებამ აიძულა, წასულიყო ჩვენი ქვეყნიდან. ის აზერბაიჯანში არ დაბრუნებულა, მესამე ქვეყანაში წავიდა. თუ ისინი დისკომფორტს უქმნიან ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს, ჩვენ ზომები უნდა მივიღოთ და, სულ მცირე, ისინი უნდა ვაიძულოთ, რომ ქვეყნიდან წავიდნენ.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაზე რას იტყვით?

– ამ კონკრეტულ შემთხვევაზე მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თუ გავითვალისწინებთ კონტექსტს და ამ კონტექსტში იგულისხმება ანალოგიურ რეჟიმში მყოფი თურქეთის მოქალაქეების დაპატიმრება. ორი თურქი მოქალაქეა დაპატიმრებული, ერთი დემირელის სკოლის ხელმძღვანელი და მეორე კიდევ ბიზნესმენი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ერდოღანის ხელისუფლება ტერორიზმს სდებს ბრალად, მე შემიძლია ძალიან მაღალი ალბათობით გითხრათ, რომ მათ ტერორიზმთან კავშირი არ აქვთ. ამის დამადასტურებელი ირიბი დოკუმენტები და ვერბალური ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა. მე შემიძლია წავიტრაბახო, რომ ყოფილიყო რამე, აუცილებლად მეცოდინებოდა.

– თურქეთის ხელისუფლების ზეწოლის შედეგად დააკავეს?

– დიახ, იყო თურქეთის ხელისუფლების ზეწოლა ჩვენს ხელისუფლებაზე, მაგრამ ეს არის კონტექსტი. ამ კონტექსტში აზერბაიჯანელი აქტივისტის გატაცება საქართველოდან სულ სხვანაირად გაჟღერდა. ისიც რომ დაეპატიმრებინათ, სასამართლო პროცესი შეექმნათ და გადაწყვეტილება მერე მიეღოთ, ეს გასაგები იქნებოდა. ეს ყველაფერი ლოგიკაში არ ჯდება.

– რა არ ჯდება ლოგიკაში, გატაცება რაში დასჭირდათ?

– დიახ, ბოლოს და ბოლოს, შეეძლოთ, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც თურქეთის მოქალაქეებს მოექცნენ, თუ ხელისუფლებაა ამაში ჩართული. მე ვფიქრობ, რომ ამ ამბავში მესამე ძალაა ჩართული. შესაძლოა, ხელისუფლების რომელიღაც წევრი მონაწილეობდა ან თუნდაც ძალოვან სტრუქტურაში მომუშავე ადამიანები, მაგრამ ეს აქცია რომ ქვეყნის დისკრედიტაციაზეა ორიენტირებული, ეს არის ფაქტი!

რა შეუშლიდა ხელისუფლებას ხელს, მაგალითად, მუხთარლი რომ დაეპატიმრებინა და იგივე პროცესი შეექმნა, რაც თურქეთის მოქალაქეების შემთხვევაში?! ამაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. საზოგადოებრივი აგრესია იქნებოდა ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე არის ახლა. საზოგადოება იმიტომ კი არ არის აღშფოთებული, ის კაცი მართლა იყო დამნაშავე თუ არა. აღშფოთებულია იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი ასე უგვანოდ შეილახა!

– ეს რამდენად შედიოდა ხელისუფლების ინტერესში, ვერ გათვალეს?

– რა თქმა უნდა, არ შედის. მაშინ გამოდის, რომ ან სულ გაგიჟებულა ვიღაცა ხელისუფლებაში, ვინც ეს ბრძანება გასცა, ან მესამე ძალაა ამაში ჩართული, ვისაც აწყობდა ხელისუფლების დისკრედიტაცია.

– ვინ არის ეს მესამე ძალა?

– ეს შეიძლება იყოს ჩვენი სამეზობლო ნებისმიერი ქვეყნიდან. არ მინდა ახლა ქვეყნების დასახელება. პლუს ქვეყანაში არსებული მეხუთე კოლონა, რომელიც არის სახელისუფლებო სტრუქტურებშიც. მე სხვა ლოგიკას ვერ ვხედავ.

ასევე ასეთი ინფორმაციაც გავრცელდა, რომ ეს იყო კერძო შეკვეთა და ვიღაცამ ძალოვან უწყებაში მომუშავე ადამიანები, აბსოლუტური იდიოტები, ამ საქმეში გამოიყენა. ყველა შემთხვევაში, ეს არის ქვეყნის პრესტიჟზე სერიოზული დარტყმა, რაც ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა.

ვსვამ კითხვას: ჩვენს ხელისუფლებას რომ დაეპატიმრებინა მუხთარლი აზერბაიჯანის ხელისუფლების მოთხოვნით, ვინ შეუშლიდა ამაში ხელს?! ვერც ვერავინ! რადგან ეს არ მოხდა, ძალიან მაღალი ალბათობით ვფიქრობ, რომ ეს იყო ვიღაც სხვის მიერ ინსპირირებული და ამ ვიღაცას საქართველოს პრესტიჟის შელახვა ძალიან სჭირდებოდა.

– როგორ გამოვა ხელისუფლება ამ სიტუაციიდან?

– ახლა ძალიან ბანალური რამე უნდა ვთქვა, მაგრამ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს ეს ამბავი და კონკრეტული ადამიანები იპოვოს, რომლებმაც ეს ოპერაცია დაგეგმეს და ამის ბრძანება გასცეს.

ხელისუფლებას ამის გაკეთება არ გაუჭირდება. მე ჩემი აზერბაიჯანელი კოლეგები მეუბნებიან, რომ თბილისიდან ემისრები ჩადიოდნენ ხოლმე საზღვარზე, რომელიც ნაკლებად კონტროლდება და სოლიდურ თანხას გადასცემდნენ თავიანთ აქტივისტებს აზერბაიჯანში.

მუხთარლიზე ვერ ვიტყვი, მაგრამ მისი მეუღლე იყო პარტია მუსავათის პრესსამსახურის უფროსი თავის დროზე. ეს პარტია დღესაც არსებობს აზერბაიჯანში და ფუნქციონირებს და მეორე ორგანიზაცია, სადაც მისი ქმრის კავშირები იკვეთება, არის სახალხო ფრონტი, ესეც არსებობს ანუ ამ ორგანიზაციის აქტივისტები იქაც არიან დარჩენილი.

– მათთან კვლავაც ჰქონდათ კონტაქტი?

– ეს ჩემი მეგობრები მეუბნებიან, რომ მანდედან ჩამოსული ადამიანები ფულს გადასცემდნენ ხოლმე თავიანთ მომხრეებს. ზაქათალის ტერიტორიაზე ხდებოდა ეს შეხვედრებიო. თვითონ მუხთარლი ჩართული იყო თუ არა ამ ამბავში, იყო თუ არა ემისარი და ჩაჰქონდა თუ არა ფული, ვერ გეტყვით. ეს ჩემთვის არ დაუდასტურებიათ, თუმცა სხვების გვარებიც კი მითხრეს, რომლებიც დღეს თბილისში არიან.

– ანუ ჩვენს ქვეყანას იყენებენ საკუთარი ინტერესებისთვის?

– ასეთი რამ ხდება ხოლმე მსოფლიოში, მაგრამ არსებობს ზღვარი. ერთია იდეოლოგიური მუშაობა, სამართლიანობისთვის ბრძოლა და მეორეა უკვე, როცა არსებული ხელისუფლების დამხობისთვის გაქვს შექმნილი შესაბამისი ჯგუფი. მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ ბაქოში არსებობს ჯგუფი, რომელიც საქართველოში დესტაბილიზაციაზეა ორიენტირებული. ეს მოგვეწონებოდა?! აზერბაიჯანელების ის ჯგუფი, რომელზეც მე ვსაუბრობ, რომელიც თბილისში არსებობს, ჯერჯერობით ზღვარს არ გადასულა. ამ ეტაპზე მხილების რეჟიმში არიან აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლები და ძირითადად თანამშრომლობენ უცხოურ, ევროპულ ორგანიზაციებთან. აზერბაიჯანში კი ეს ორგანიზაციები უკვე დახურულია. მაგალითად, რადიო თავისუფლება და კიდევ სხვა.

– ოპოზიციური პარტიების მხრიდანაც სერიოზულია კრიტიკა და აქტივობაა ამ საქმესთან დაკავშირებით.

– ოპოზიციური პარტიები ძალიან მაღალ ხმაზე ლაპარაკობენ ამ თემასთან დაკავშირებით. ყველა ოპოზიციურ პარტიას აქვს ამის უფლება, რადგან აღმაშფოთებელი რამ მოხდა ქვეყნის პრესტიჟის საზიანოდ, ოღონდ ნაციონალური მოძრაობის გარდა.

სწორედ ნაციონალური მოძრაობის დროს, მე მახსოვს, მე და ჩემს მეგობრებს რამხელა ძალისხმევა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ჩეჩნების გადაცემის პროცესი რუსეთის ხელისუფლებისთვის როგორმე შეგვეჩერებინა და სამი კაცი მაინც გადასცეს. არცერთი მათგანის დანაშაულებრივი ქმედება არ იკვეთებოდა. არც ის მავიწყდება, ირანის მოქალაქე, მეცნიერი რომ გადასცეს ამერიკელებს. ასე რომ, ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო. ნაციონალურ მოძრაობას არაფრის ლაპარაკის უფლება არა აქვს. სხვების პოზიცია კი მესმის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „მუხთარლის ინციდენტის თავიდან აცილება საზღვარზე შეიძლებოდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმის შესახებ, თუ რა გავლენას იქონიებს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ირგვლივ განვითარებული მოვლენები საქართველოს იმიჯზე.

– ბატონო რამაზ, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის თბილისიდან გაუჩინარებისა და შემდეგ ბაქოს იზოლატორში აღმოჩენის ფაქტი რა გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის იმიჯზე?

– თუ ის ვერსიაა სწორი, რომ ქართველი სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ ამაში, ანალოგიური მოვლენები მომხდარა მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ ამის გამო სახელმწიფოები არ ჩამოშლილან. მე არ მეჩვენება ეს ფაქტი იმ მოვლენად, რა ინტონაციაც ახლავს.

– თქვენ იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, რომ მასზე ვართ დამოკიდებული გაზის მოწოდების მხრივ და არ არის საჭირო ასეთი განგაშის ატეხა?

– აზერბაიჯანი და თურქეთი ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოები არიან. თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა. ჩვენ ამ შემთხვევაში პრაგმატული პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, ლავირება გვიწევს. ძალიან ფრთხილი უნდა იყოს ამ შემთხვევაში მიდგომები. აწყობილი ურთიერთობა შეიძლება ხუხულასავით დაინგრეს ერთი პატარა მიზეზით.

– ბატონო რამაზ, სტრატეგიული პარტნიორობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ხომ არ ნიშნავს ცალმხრივ სტრატეგიულ პარტნიორობასა და კეთილმეზობლობას? ჩვენც არ ვართ ახლა სახარბიელო მდგომარეობაში.

– გეთანხმებით. რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს და ყველა სახელმწიფო ვალდებულია, რომ საკუთარი ინტერესები დაიცვას. მაგალითად, თურქეთმა საქართველოს სთხოვა იმ მოქალაქის გადაცემა, რომლის ბედ-იღბალს გაურკვეველი პერსპექტივა ელოდება. ასეთ დროს ძალიან რთულია ადამიანური თვალსაზრისით, მიიღო სრულიად არაადამიანური გადაწყვეტილება. ამიტომ ასეთ მგრძნობიარე თემებზე ხელისუფლებას დანის წვერზე მოუწევს გავლა.

– რამდენად არის პრობლემა ხელისუფლების დახურულობა, უფრო ღია უნდა იყოს თუნდაც ამ საკითხზე, უფრო მეტი ინფორმაცია მისცეს საზოგადოებას?

– სოზარ სუბარმა თქვა, სპეციალური რეჟიმის მისაღებად ჩვენთვის არ მოუმართავსო. ასევე მან თქვა, რომ ის დაეჭვებულია, დღისითმზისით შუა ქალაქში ისე გაეტაცებინათ ადამიანი, რომ არცერთი თვითმხილველი არ შესწრებოდა ამ ამბავს. ეს კითხვა მეც გამიჩნდა.

– სად ხედავთ გამოსავალს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი იმიჯი არ შეილახოს?

– მეტი კომუნიკაცია, მეტი დოზით ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის შეიძლება უკეთესი ყოფილიყო.

– ვიცესპიკერმა ჩუგოშვილმა თქვა, რომ საუკეთესო ადგილი ამ შემთხვევაში არის პარლამენტი, საიდანაც მთავრობის შესაბამისი უწყების ხელმძღვანელებს შეუძლიათ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდონ.

– მეც ვიზიარებ ამ პოზიციას. პარლამენტი მართლაც არის ის ადგილი, სადაც მინისტრებს შეუძლიათ ამ მაღალი ტრიბუნიდან საზოგადოებას მიმართონ და უთხრან ის, რაც შეუძლიათ თქვან.

მე არ მიმაჩნია, რომ ქართული მხარე ძიების პროცესში რაღაც ცოდვას ჩადის. ჯერ არ არის ის დრო გასული, რომ ეჭვი შევიტანოთ. ბევრად უფრო ადრე უნდა ჩარეულიყო სახელმწიფო – რა უნდა ამ ადამიანს, რას აკეთებს, ვინ არის, ეს ჩვეულებრივი პროცედურებია. ეს პროცედურები სათანადოდ რომ ყოფილიყო გავლილი, შეიძლება არ აღმოვჩენილიყავით მსგავსი არასასიამოვნო ფაქტის წინაშე. ამ ინციდენტის თავიდან აცილება შეიძლებოდა სრულიად უხმაუროდ საზღვარზე.

ვის შეხვდა აშშ-ის ელჩი პანკისში

30 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია თემაზე „დასავლური საფრთხეები საქართველოში“, რომლის ერთ-ერთი მონაწილე თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ტრისტან წითელაშვილი იყო.

საინფორმაციო სააგენტო პატრიოტი ტვის გავრცელებულ ვიდეოში წითელაშვილმა ამერიკის ელჩი იან კელი დაადანაშაულა, რომ ის „საქართველოს შიდა საქმეებში“ ერევა და პანკისის ხეობაში სირიიდან დაბრუნებულ ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებს შეხვდა.

ამაზე იან კელიმ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ მისი ქვეყანა ტერორიზმს ებრძვის და ის ტერორისტებს არ შეხვდებოდა.

ამ ბრალდებებზე კომენტარი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმაც გააკეთა.

აბაშიშვილის განცხადებით, იან კელი, პანკისის ხეობაში ვიზიტის დროს, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და ხეობაში დაგეგმილ პროექტებს გაეცნო.

– პრეზიდენტთან ერთად იან კელი, ისევე, როგორც იანოშ ჰერმანი, იმყოფებოდნენ პანკისის ხეობაში, სადაც ჰქონდათ შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე გავეცანით იმ პროექტებს, რომლებიც პანკისის ხეობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება, – განაცხადა აბაშიშვილმა.

30 მაისს გაკეთებულ განცხადებაზე წითელაშვილსაც მოუხდა განმარტებების გაკეთება.

– მე პირდაპირ თანამშრომლობაზე არ დამიდვია ხელი იან კელისთვის, მაგრამ იმ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ეს ადამიანები. იან კელი მათ ინდივიდუალურად შეხვდა თუ სხვა დანარჩენ პირებთან ერთად, ეგ მე არ მითქვამს და არ ვადასტურებ. მე ვამბობ, რომ იმ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ის კონტინგენტი, რომელიც იბრძოდა სირიაში, ისლამურ სახელმწიფოში, – განაცხადა წითელაშვილმა.

წითელაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე არა მარტო დასავლეთის საფრთხეებზე მსჯელობდნენ, არამედ განიხილავდნენ საქართველოში არსებულ სიტუაციასა და რუსეთიდან მიმდინარე საშიშროებაზეც.

სამეცნიერო შეხვედრას გამოეხმაურა თსუ-ის რექტორის მოადგილე მიხეილ ჩოხელი. მან განაცხადა, რომ შეხვედრის ორგანიზატორებმა თემა ისე შეცვალეს, რომ თსუ-ის ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ ჩააყენეს.

ის უნივერსიტეტის შეხვედრაზე გაკეთებულ ანტიდასავლურ განცხადებებს ემიჯნება.

– შეცვალეს თემა, შესაბამისად, მოატყუეს ფაკულტეტი და უნივერსიტეტი. ჩვენი უნივერსიტეტის არცერთი სტუდენტი, არცერთი პროფესორი, არცერთი თანამშრომელი ამ შეხვედრას არ ესწრებოდა. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კატეგორიულად ემიჯნება იმ აბსურდულ განცხადებებს, რომლებიც ამ ე.წ. სამეცნიერო შეხვედრაზე გაკეთდა. ჩვენი უნივერსიტეტი მუდამ იყო, არის და იქნება ევროპული ღირებულებების ერთგული, – განაცხადა ჩოხელმა.

მედიანიუსი

ზურაბ პატარაძე: „მუსლიმი მრევლისთვის ღირსეული შეთავაზება გვაქვს“

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძის განცხადებით, მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით საინიციატივო ჯგუფი შეიქმნება. მან აღნიშნა, რომ ალტერნატიული შეთავაზება არსებობს, რომლის კონკრეტული დეტალები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

– 3 ივნისს ხულოს მუნიციპალიტეტში ამ თემასთან დაკავშირებით მუსლიმ მრევლთან მქონდა შეხვედრები. უახლოეს დღეებში საინიციატივო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც მუსლიმი მრევლითა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციით, ასევე მთავრობისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

ჩვენ ვიმსჯელებთ, არის ალტერნატიული შეთავაზება. უახლოეს დღეებში კონკრეტულ დეტალებს მოგახსენებთ. მუსლიმი მრევლისთვის ღირსეული შეთავაზება გვაქვს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი რეგიონის, ბათუმის განვითარებას. იგი მისაღები იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. გვაქვს კონკრეტული გეგმა, რომელსაც უახლოეს დღეებში გამოვაცხადებთ, – განუცხადა პატარაძემ ჟურნალისტებს.

❖ ❖ ❖

შეგახსენებთ, ქალაქ ბათუმის მერიამ უარი განუცხადა „ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდს“ გენერალ აბაშიძის 49 ნომერში მეჩეთის მშენებლობაზე. მერიამ თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საცხოვრებელ ზონა 6-ს, სადაც განაშენიანების დომინირებული სახეობა, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მიხედვით, არის საცხოვრებელი სახლები.

26 მაისს ბათუმში, გენერალ აბაშიძის 49 ნომერში, იმ ადგილას, სადაც მეჩეთის მშენებლობა იგეგმებოდა, „ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ სალოცავი გახსნა ღია ცის ქვეშ. „ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის“ წარმომადგენელთა თქმით, აქ ყოველ პარასკევს ღია ცის ქვეშ ჯუმა ლოცვას აღავლენს იქამდე, სანამ ბათუმში მეჩეთი არ აშენდება.

მუსლიმებმა ახალი მეჩეთის მშენებლობის მოთხოვნით 12 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს.

მედიანიუსი

თენგიზ ფხალაძე: „ჰეიდარ ალიევის მემორიალის დაზიანება ვანდალიზმია“

პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძე აცხადებს, რომ თბილისში ჰეიდარ ალიევის მემორიალის დაზიანების ფაქტი მიუღებელია.

როგორც თენგიზ ფხალაძემ აღნიშნა, ეს ვანდალიზმი და სრულიად დაუშვებელი და მიუღებელი ფაქტია.

– სრულიად მიუღებელია ის ფაქტი, რაც მოხდა. ეს არ არის არც პროტესტის გამოხატვის ფორმა და არც პოზიციის გამოთქმის ფორმა. ჰეიდარ ალიევის მემორიალი საქართველოში დგას არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანელ ხალხებს აკავშირებთ ძალიან ბევრი რამ და ჩვენ ვართ მეზობლები და მეგობრები, არამედ მას ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე.

ეს არის ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს პრეზიდენტის მემორიალი საქართველოში, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე და რომელიც, ამავდროულად, სიმბოლურად ასახავს საქართველოსა და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობას, – აღნიშნა ფხალაძემ.

ინტერპრესნიუსი

მთავრობის პრესსამსახურის უფროსმა თანამდებობა დატოვა

საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაკო ბიგვავამ თანამდებობა დატოვა.

მთავრობის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ბიგვავა სამსახურიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა, თუმცა არ აკონკრეტებენ, რა გახდა ამის მიზეზი.

ბიგვავას შემცვლელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

მედიანიუსი

მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილმა აშშ-ში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მასალები გაგზავნა“

მარიამ მჭედლიშვილი

მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლების შეცვლასა და უკრაინის პოლიტიკური კლასის განახლებას გეგმავს. საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ უკრაინა სააკაშვილის პოლიტიკური აქტიურობის დროებითი არენაა, მისი ნამდვილი სამიზნე კი საქართველოა.



მირიან მირიანაშვილი:

– უკრაინის პოლიტიკაში მიხეილ სააკაშვილს წარმატების შანსი არ გააჩნია. მას ამ ქვეყანაში საკმარისი მხარდამჭერებიც არ ჰყავს. ექსპრეზიდენტი იქ აქტიურია იმის გამო, რომ საამისოდ სხვა ადგილს ვერ მოძებნის. ევროპის რომელიმე ქვეყანაში რომ ჩავიდეს, რიგითი ემიგრანტი გახდება და პოლიტიკურ საქმიანობას ვერ დაიწყებს. სააკაშვილის მიზანი უკრაინა კი არა, საქართველოა. იგი ყველანაირად ამზადებს ნიადაგს ძალაუფლების დასაბრუნებლად. მაქვს ახალი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი დაკავებულია საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციით აშშ-ის პოლიტიკური ელიტის თვალში.

– „ქართული ოცნების“ კრიტიკით სააკაშვილი ყოველთვის იყო დაკავებული.

– საქმე ეხება არა განცხადებებს, არამედ მასალების გაგზავნას. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა აშშ-ის კონგრესის ორივე პალატის პროფილურ კომიტეტებსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს მიაწოდა ინფორმაცია „ქართული ოცნების“ ფარულ კონტაქტებზე რუსეთის ხელისუფლებასთან და 2012 წელს საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე.

ეს ყველაფერი ემთხვევა ამერიკაში გამოძიების მიმდინარეობას. გრძელდება გამოძიება 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევისა და ტრამპთან რუსეთის შესაძლო კავშირების შესახებ. დონალდ ტრამპის მდგომარეობა მერყევია. არ არის გამორიცხული, მას იმპიჩმენტი მოუწყონ. ეს შესაძლებელი გახდება მაშინ, თუ ამაზე აშშ-ის რესპუბლიკურ პარტიაში შეჯერდებიან.

„ქართული ოცნების“ ქმედებები არაადეკვატურია“

– საქართველოს შესახებ მიწოდებული მასალები ამასთან რა კავშირშია?

– სააკაშვილს უნდა, გახდეს ამ საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი და შექმნილი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სააკაშვილს ხელსაყრელი მომენტი დაუდგება მაშინ, თუ სიტუაცია ტრამპისთვის სავალალოდ დასრულდა. საქართველოს ყოფილი ლიდერი, რომელიც ამჟამად ფარულად უთხრის ორმოს „ქართულ ოცნებას“ ვაშინგტონში, გახდება შექმნილი ვითარების ბენეფიციარი. თუ პირველ ეტაპზე საწადელს მიაღწია, საჯარო აქტივობებს დაიწყებს და მოჰყვება მტკიცებას, რომ რუსეთი 2012 წლის საქართველოს არჩევნებშიც ერეოდა და ანტიდასავლურ ძალებს ებრძოდა.

თუ ტრამპს იმპიჩმენტი მოუწყვეს, სააკაშვილი გარკვეული ხნით აშშ-ში გადაბარგდება და მაქსიმალურად დაუახლოვდება ტრამპის შემცვლელის ადმინისტრაციას. სააკაშვილმა ამერიკაში მასალები გაგზავნა არა მარტო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებზე. მისი კომპრომატები საქართველოს პატრიოტთა ალიანსსაც ეხება. სააკაშვილი არწმუნებს ამერიკელებს, რომ ეს პარტია დაკავშირებულია რუსეთის დაზვერვასთან და რომ პატრიოტთა ალიანსი რუსეთის ინტერესებს იცავდა როგორც 2012 წლის არჩევნებისას, ისე შემდგომ პერიოდში. კერძოდ, ეს პარტია თურქეთის წინააღმდეგ ბათუმში მართავდა პერმანენტულ აქციებს. აქციები შეწყვიტა მაშინ, როცა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დათბა.

სააკაშვილის მიერ გაგზავნილი ბრალდებების ანალიზი სხვამ გააკეთოს. მე საგანგაშოდ მეჩვენება მისი ხელისუფლებაში დაბრუნების პერსპექტივა. თუ ჩაფიქრებული პროპაგანდა ამერიკაში გამოუვიდა, ძალაუფლებასაც დაიბრუნებს.

ამის საპასუხოდ საერთაშორისო საზოგადოებას, პირველ რიგში, ამერიკელ პარტნიორებს უნდა ვაჩვენოთ სააკაშვილის სახე ნიღბის გარეშე, მისი კავშირები რუსეთთან, ჩადენილი დანაშაულები და არა – ორი პიჯაკის ყიდვის საქმე.

– ხელისუფლება შეძლებს სააკაშვილის მხილებას?

– მეეჭვება, მარტომ შეძლოს. „ქართული ოცნების“ ქმედებები არაადეკვატურია. ხანდახან ეს ქმედებები ანეკდოტის სახეს იღებს. ხელისუფლება დიდი ხანია, ძირს ითხრის. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ „ქართული ოცნება“ თავს ინადგურებს.

ამ მდგომარეობაში სააკაშვილის მიერ დაწყებულმა დისკრედიტაციის კამპანიამ შეიძლება „ქართული ოცნებაც“ დაასამაროს და ქვეყანასაც დამბლა დასცეს. იმისთვის, რომ სააკაშვილი ისევ არ დაატყდეს თავს თავისი რეჟიმით, ხელისუფლებამ სააკაშვილის საქმე არ უნდა აკეთოს. სააკაშვილის ოპონენტებს ხელი არ უნდა შეგვეშალოს სამართლიანობის დამკვიდრებაში.

სააკაშვილის მხრიდან დაზარალებულებს შეგვიძლია მისი მხილება. რეპრესირებულნი ბევრნი ვართ. ჩემს სადავო საქმეზე სასამართლოში დაბრკოლებებს მიქმნიან. არადა, სიმართლის დადგენა ამ საქმეზე იქნებოდა დამაბრკოლებელი მისი რევანშისტული გეგმებისათვის. სააკაშვილის მიმდევრები ამ ხელისუფლებაშიც არიან.

– ვისზეა საუბარი?

– მოვა დრო და აუცილებლად დავასახელებ. ცინიკურია, როცა დასავლური ღირებულებების დამცველად და დემოკრატიის შუქურად თავს ასაღებს მოძალადე რეჟიმის შემქმნელი და რუსეთის მიერ 2003 წელს საქართველოს ხელისუფლებაში დასმული სააკაშვილი. მას კი „ოცნებაში“ დამქაშები ჰყავს.

ფარცხალაძის გუნდი ხელისუფლებიდან მიდის?

მიხეილ ჩოხელის შემდეგ თანამდებობას გიორგი ბადაშვილი ტოვებს

შორენა მარსაგიშვილი

ლაშა თორდიასა და ოთარ ფარცხალაძეს შორის 22 მაისს დაწყებული შერკინება იმაზე უფრო ხმაურიანი გამოდგა, ვიდრე ეს ვინმეს ეგონა.

ფარცხალაძესთან ერთად თორდია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მიხეილ ჩოხელსაც ეკვეთა.

რამდენიმე დღის წინ ჩოხელმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა, გუშინ, 4 ივნისს კი თანამდებობა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა გიორგი ბადაშვილმა დატოვა.

ჩოხელი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამდებობიდან იმიტომ გადადგა, რომ ფინანსთა სამინისტროს ჩრდილი არ მისდგომოდა.

გიორგი ბადაშვილი თავის გადადგომის მიზეზებზე, სავარაუდოდ, დღეს, 5 ივნისს, ისაუბრებს.

საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბადაშვილი სხვა პოზიციაზე გადაინაცვლებს, თუმცა არ კონკრეტდება, რა გახდა საკადრო გადაწყვეტილების მიზეზი და სად გაგრძელებს ის მუშაობას.

ჩოხელიც და ბადაშვილიც ფარცხალაძის გუნდს წარმოადგენენ. ბადაშვილი ფარცხალაძის გადადგომის შემდეგ გახდა მთავარი პროკურორი. მანამდე ის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ოთარ ფარცხალაძესთან ერთად მუშაობდა.

თორდია-ფარცხალაძის მუშტი-კრივს დიდი პოლიტიკური გამოხმაურება მოჰყვა. ოპოზიციამ ამ საქმის შესასწავლად საპარლამენტო კომისიის შექმნაც კი მოითხოვა, რაზეც ხელისუფლებამ კატეგორიული უარი განაცხადა.

თორდია აცხადებს, რომ მას ფარცხალაძე იმ მასალების გამო დაუპირისპირდა, რომლებიც აუდიტის სამსახურმა მოიპოვა. გამოძიების მიერ გავრცელებული ვიდეოჩანაწერიდან კი ჩანს, რომ ჩხუბი თორდიამ დაიწყო და მან დაარტყა ჩოხელს ხელი.

ამ ინციდენტის შემდეგ ოპოზიციას დავით ნარმანიასთანაც გაუჩნდა პრეტენზიები, ფარცხალაძისთვის გადაცემული ქონების საქმეს კი აუდიტის სამსახური სწავლობს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ სამსახურს მალე თავად ნარმანია ჩაუდგება სათავეში. ეს ინფორმაცია თავად მოქმედმა მერმაც დაადასტურა.

ლაშა თორდიას გენერალური აუდიტორის პოსტზე ყოფნის ვადა ამ ზაფხულს ეწურება. „ოცნებაში“ ამ პოსტს რამდენიმე თვის წინ შეჰპირდნენ ნოდარ ჯავახიშვილს. ის ინფრასტრუქტურის სამინისტროდან იმ პირობით გაუშვეს, რომ გენერალური აუდიტორი გახდებოდა. ეს პირობა ახლა აღარავის ახსოვს.

თორდიას ადგილმონაცვლედ ლადო ჭანტურიას კანდიდატურაც მოიაზრება. ხელისუფლების კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, ასეთ შემთხვევაში ნარმანიას სადმე ელჩად გაუშვებენ.

ლაშა თორდიას მომავალი ჯერ განსაზღვრული არ არის. არ გამორიცხავენ, რომ ის სადმე რაიმე მაღალ თანამდებობას დაიკავებს. ცოტა ხნის წინ ყოფილმა დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომ თორდიას ბევრი კომპრომატი დაუგროვდა და „ოცნებას“ აშანტაჟებს.

❖ ❖ ❖

ბადაშვილის გადადგომაზე ხელისუფლებიდან კომენტარი ვიცეპრემიერმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გააკეთა.

ის კატეგორიულად უარყოფს ვერსიას, რომ ბადაშვილმა პოსტი აუდიტის სამსახურის მიერ დაწერილი დასკვნის გამო დატოვა.

– არა მგონია, გიორგი ბადაშვილის მიერ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის თანამდებობის დატოვება გენერალურ აუდიტორთან დაკავშირებულ ინციდენტთან იყოს კავშირში – ეს კავშირშია ფინანსური პოლიციის პირდაპირი ამოცანებისა და მიზნების შესრულება-არშესრულებასთან, – განაცხადა მედიასთან საუბარში ჯეჯელავამ.

„მრეწველები“ „ოცნებაში“ ბრუნდებიან?

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო არჩევნებიდან მოკლე ხანში კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გამოყოფილმა მრეწველთა პარტიამ პოლიტიკური ტაიმაუტი აიღო. პოლიტიკიდან დროებით გაქრნენ მისი ლიდერებიც – გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე.

2016-2020 წლების მოწვევის პარლამენტის შეკრებიდან მოკლე ხანში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მრეწველები ისევ „ოცნების“ წიაღში დაბრუნდებოდნენ.

საპარლამენტო არჩევნებზე ისინი ოპოზიციური ფლანგიდან მონაწილეობდნენ. მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ მათმა კანდიდატმა მოიგო ოპოზიციიდან მაჟორიტარული არჩევნები ხაშურში.

ამის გამო ხელისუფლება ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატ სიმონ ნოზაძეზე უნდა განაწყენებულიყო. ყველაფერი პირიქით მოხდა, „ოცნებამ“ მას ფრაქციის შესაქმნელად 5 კაცი დაახმარა. რეგლამენტის თანახმად, საპარლამენტო ფრაქციისთვის 6 დეპუტატია საჭირო.

ამას ჭორები მოჰყვა, რადგან ფრაქციების შექმნის უფლება არ მისცეს კახა ოქრიაშვილსა და ზაქარია ქუცნაშვილს.

ბოროტმა ხმებმა მაშინვე თქვეს, რომ „ოცნება“ და მრეწველები ისევ ერთად იქნებოდნენ. მრეწველები რამდენიმე თვე მდუმარებაში იყვნენ, გასული კვირის დამლევს კი ზურაბ ტყემალაძემ ერს დაბრუნების შესახებ ამცნო.

მისი განმარტებით, პარტია თვითმმართველობის არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ტყემალაძის განმარტებითვე, მათ კანდიდატები თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით ეყოლება.



ამ ეტაპზე ისინი არ ახმაურებენ, ვისთან ერთად ითანამშრომლებენ. ტყემალაძე არ გამორიცხავს, რომ თანამშრომლობა „ოცნებასთანაც“ შედგეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ივანიშვილმა კოალიციიდან წასული პარტიების უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ის დგას უსუფაშვილისა და ეროვნული ფორუმის გაერთიანების უკან, რასაც ფორუმში კატეგორიულად უარყოფენ.

რაც შეეხება მრეწველებს, მათთან დაკავშირებით კიდევ ერთი ვერსია ვრცელდება. სახელისუფლებო კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ მათ პატრიოტთა ალიანსთან ან ნინო ბურჯანაძის პარტიასთან ითანამშრომლონ. აღსანიშნავია, რომ სამივე პარტია პრორუსული ორიენტაციის პარტიად ითვლება.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მრეწველებს „ჩვენს სამშობლოსთან“ ერთად ჰქონდა საარჩევნო ბლოკი შექმნილი. რუსეთის მიმართ სიმპათიებს „ჩვენი სამშობლოც“ ამჟღავნებდა.

ზაალ კასრელიშვილი: „დროა, რუსეთს დვალეთის დაბრუნება მოვთხოვოთ“

შორენა მარსაგიშვილი

რა შემთხვევაში გამოვა ხალხი ქუჩაში, რა სპეცოპერაციას ატარებს რუსეთი საქართველოში, რატომ არ უნდა ვივაჭროთ რუსეთთან, როგორ უნდა გათავისუფლდეს ხელისუფლება ჩანერგილი აგენტებისგან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– ცხინვალის რეჟიმის მეთაურმა ბიბილოვმა, რომელიც თავის მიზნად რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანას მიიჩნევს, ახლახან განაცხადა, რომ ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება შეიძლება წლის ბოლომდე ან კიდევ უფრო დიდი ხნით გადაიდოს. რას უკავშირდება ბიბილოვის პოზიციის ცვალებადობა?

– ბიბილოვი დამოუკიდებლად არანაირ განცხადებას არ გააკეთებდა. ეს ყველაფერი შეთანხმებულია კრემლთან. მოსკოვი ამით ცდილობს, საქართველოსთან ვაჭრობა დაიწყოს, რასაც ჩვენი ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს. რუსეთთან მხოლოდ მაშინ შეიძლება მოლაპარაკებების დაწყება, თუ ისინი მოპარულ ტერიტორიებს დააბრუნებენ.

ამ შემთხვევაში მხოლოდ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე არ ვსაუბრობ. რუსეთმა მოპარულის დაბრუნება დვალეთიდან უნდა დაიწყოს. ეს ტერიტორია ჩრდილოეთ ოსეთსა და რაჭას შორის მდებარეობს. ისტორიული ქართული მიწა რუსებმა 1922 წელს წაიღეს და თუ ჰგონიათ, რომ ეს ამბავი დაგვავიწყდა, ძალიან შემცდარან.

– დვალეთის დაბრუნების საკითხს დააყენებს ვინმე დღის წესრიგში?

– რატომ არ უნდა დააყენონ? ისიც ისეთივე ქართული მიწაა, როგორებიც სამაჩაბლო და აფხაზეთი. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან საქართველოს სათავეში მოვა ეროვნული ხელისუფლება და ყველაფერზე მოსთხოვს რუსეთს პასუხს.

– არც ისე აქტიურად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს იმის პროპაგანდა, რომ თუ დასავლურ კურსზე უარს ვიტყვით, მოსკოვი მიტაცებულ ტერიტორიებს დაიბრუნებს. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

– დასავლურ კურსზე უარის თქმა სუვერენიტეტზე უარის თქმას ნიშნავს. პრორუსული ძალები საქართველოში უკვე წლებია ცდილობენ ამ აზრის დამკვიდრებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ჩვენმა საზოგადოებამ, როგორც იქნა, დასკვნების გამოტანა ისწავლა.

– საზოგადოებამ შეიძლება ისწავლა დასკვნების გამოტანა, მაგრამ რას იზამს ხელისუფლება? აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედება და როკის გვირაბის გახსნა იგეგმება. სომხეთის პრემიერი ამბობს, რომ ამ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმება უკვე მიღწეულია.

– ჩვენ არა ვართ ხელისუფლებაში და არ ვიცით, ვის რაზე უთანხმდებიან. სამაგიეროდ, ვიცით, რა მოხდება, თუ ხელისუფლება სუვერენიტეტზე უარს იტყვის. როგორც კი ცნობილი გახდება, რომ ხელისუფლება სუვერენიტეტზე უარს ამბობს ან ამ თემით ვაჭრობის დაწყებას აპირებს, ის მაშინვე დამთავრდება. ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად არც ოპოზიცია იქნება საჭირო და არც ლიდერი.

– თქვენი აზრით, წავა ხელისუფლება ამ ნაბიჯზე?

– ჭკუა თუ აქვს, არ უნდა წავიდეს. სამწუხაროდ, 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს ხელისუფლებაში მრავლად არიან გუგულის კვერცხები. მხედველობაში მყავს სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ჩანერგილი ხალხი. მათი დახმარებით ჩვენი მეზობელი სახელმწიფო შეეცდება, საქართველოს დასავლური კურსიდან გადაახვევინოს.

– გუგულის კვერცხებს სერიოზული გავლენები აქვთ ხელისუფლებაში?

– სერიოზული გავლენები აქვთ და სერიოზული პატრონებიც ჰყავთ. იმისთვის, რომ საქართველომ ნორმალური განვითარება შეძლოს, ხელისუფლება მოღალატეებისგან უნდა გათავისუფლდეს. მოღალატეებისგან გათავისუფლება ძალიან მარტივია. ამისთვის მხოლოდ ხელისუფლების კეთილი ნებაა საჭირო.

– ხელისუფლების ნებაში ლუსტრაციის კანონის მიღებას გულისხმობთ?

– ლუსტრაციის კანონის მიღების შემთხვევაში გაირკვევა, ვინ ვისი აგენტია. როდესაც უცხო ქვეყნის აგენტებზე ვსაუბრობთ, რატომღაც ყველა რუსეთს წარმოიდგენს ხოლმე. რუსეთის გარდა, ხელისუფლებაში კიდევ სხვა ქვეყნების აგენტურაც არის ჩანერგილი.

– ლუსტრაციის კანონის მიღების აუცილებლობაზე გამუდმებით საუბრობენ, მაგრამ არცერთი ხელისუფლება არ წავიდა ამაზე.

– იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მრავლად არიან გუგულის კვერცხები. ისინი საკუთარი თავის გამოაშკარავებას არ დათანხმდებიან.

– მოდით, ისევ აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებასა და როკის გვირაბის გახსნას დავუბრუნდეთ. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, ეს ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფა იქნება. თქვენ რას იტყვით?

– ვიდრე რუსეთი მოპარულ მიწებს არ დაგვიბრუნებს, ამ საკითხზე საუბარიც კი ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. ეს იქნება სუვერენიტეტზე უარის თქმა. ამის გარდა, საქართველომ შესაძლოა ორი სტრატეგიული პარტნიორი, თურქეთი და აზერბაიჯანი, გაანაწყენოს. მოსკოვს ამ გზისა და რკინიგზის ამოქმედება იმისთვის უნდა, რომ სომხეთში კიდევ უფრო გაიმყაროს პოზიციები. ამ გზის გავლით ის ირანზეც გავა.

იმედი მაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ყველაფერს კარგად გააცნობიერებს და ამას არ დათანხმდება. რუსეთის ანკესზე წამოგება ახლა ყოვლად დაუშვებელია. საქართველომ არნახულ საერთაშორისო მხარდაჭერას მიაღწია და ამის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ტრამპის ხელმოწერილი დოკუმენტი და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია მოსკოვისთვის.

რუსეთი ამას კარგად აცნობიერებს და აღბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ჩატარებას დაემთხვა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცება საქართველოდან.

– ოპოზიციის მტკიცებით, ეს საქართველოს ხელისუფლების მიერ არის გაკეთებული.

– ამას რით ხსნიან, რომ გამტაცებლები ქართულად საუბრობდნენ? ქართულ ენაზე ბევრი საუბრობს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ქართველებიც იყვნენ, მაგრამ სხვა ქვეყნის დავალებას ასრულებდნენ.

„ხელისუფლება გუგულის კვერცხებით არის სავსე“

მეეჭვება, რომ ქართული სპეცსამსახურები ამაში რაიმე ფორმით იყვნენ ჩართული. შინაგან საქმეთა სამინისტროს რაღაც კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. ის, რაც მოხდა, საქართველოსთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო. ამიტომაც უნდა მოხდეს ამ საქმის სასწრაფო წესით გამოძიება. საერთაშორისო თანამეგობრობას ბევრი კითხვა გაუჩნდა და ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს.

ამ საქმეს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ ამის უკან ერთი დიდი ქვეყანა დგას, რომელიც ყველაფერს აკეთებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შესალახად.

– ამ საქმეშიც რუსული კვალი იკვეთება?

– საქართველოს ხელისუფლებას ეს ამბავი ნამდვილად არ აწყობდა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ეს სამწუხარო ინციდენტი ერთი დიდი სპეცოპერაციის ნაწილი იყოს.

– რა დიდ სპეცოპერაციაზე საუბრობთ?

– ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდება. ღმერთმა ქნას, რომ ის, რაც მოხდა, მხოლოდ რომელიმე კერძო პირის ინტერესი იყოს.

ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ამაში რუსეთის ხელი ურევია. მის გააქტიურებას ცოტა უფრო ადრე ველოდით, მაგრამ, როგორც ჩანს, მავანმა ჯერ პროცესები თავის ნებაზე მიუშვა, რომ შედეგი ენახათ. შედეგის მიხედვით დაიგეგმნენ და ორიგინალური ტაქტიკა აირჩიეს. ამას ჰქვია აგრესიული მენეჯმენტი.

რა სქემითაც რუსეთი წლებია მუშაობს, შედეგზე ვერ გადის. მათ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ვერ მოაქციეს პრორუსული განწყობის ტალღაზე.

თავიდან ცადეს სოციალური პრობლემების აგორება, მაგრამ არ გამოუვიდათ. ცადეს, აეგორებინათ რელიგიური თემები, მაგრამ არ გამოუვიდათ. თუმცა ეს თემა ისეც აქტუალურია და მას ისევ დაუბრუნდებიან. არც ისლამის დემონიზაციამ გაამართლა. შეეცადნენ, საქართველო მარიონეტ ხელისუფლებად გადაექციათ, მაგრამ არც ეს გამოუვიდათ. ახლა გადავლენ აგრესიულ ქმედებებზე.

– აგრესიულ ქმედებებში რას გულისხმობთ?

– ღია პროპაგანდას. სულელები არც მოსკოვში სხედან და ისინიც თვლიან რაღაცებს. კრემლი აქ ხშირად ატარებს გამოკითხვებს და ძალიან კარგად იცის ხალხის განწყობა.

საქართველოს მოსახლეობას თუ ჰგონია, რომ როცა ურეკავენ, მხოლოდ დასავლური ორგანიზაციები ატარებენ გამოკითხვებს, ძალიან შემცდარა. სოციოლოგიურ კვლევებს რუსეთიც ატარებს, ოღონდ სხვისი სახელით. ახლა გადაწყვიტეს, ახალგაზრდობასთან პირდაპირ დიალოგზე წავიდნენ. რაღაც სკანდალებსაც ააგორებენ.

არ არის გამორიცხული, რომ კონკრეტულმა პირებმა თავად გამოიჩინეს ინიციატივა. აქ რამდენიმე სახის პრორუსული ძალაა და მათ შორის სერიოზული კონკურენციაა.

– რა კონკურენცია?

– რომელი უფრო მეტად მოაწონებს დამპყრობელს თავს. მინდა გავიხსენო ერთ-ერთი ცნობილი რუსი ბოლშევიკის მემუარები. ის წერდა, ჩვენ არასდროს ვითხოვდით იმდენ სისხლს, რასაც ქართველი ბოლშევიკები თავიანთი ინიციატივით აკეთებდნენო.

ასევე იქცეოდნენ ის ქართველები, რომლებიც თავის დროზე სპარსელების სასარგებლოდ მოქმედებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს იმ თანამემამულეებზეც, რომლებიც ოსმალეთზე მუშაობდნენ.

– გამოდის, რომ დამპყრობლისთვის თავის მოწონებისკენ გვაქვს მიდრეკილება.

– მადლობა ღმერთს, რომ ქართველობის დიდ ნაწილს ამისკენ მიდრეკილება არ აქვს. მოღალატეები და გამყიდველები ყველა ერში არიან. ყველგან არიან ადამიანები თუ პოლიტიკური ძალები, რომლებიც დამოუკიდებლად ხელისუფლებაში მოსვლას ვერ ახერხებენ და ამის გასაკეთებლად სხვა ქვეყნებს თავს აწონებენ.

ეს მოღალატეები კიდევ გამოიჩენენ თავს. ისინი რუსეთს არსენალში ჰყავს, მაგრამ, რადგან არცერთმა თემამ არ გაამართლა, მალე ყველა თემას ერთად ააგორებენ.

– ეს გამოიღებს შედეგს?

– გამორიცხულია. რუსეთისკენ ჩვენი მოსახლეობა აღარ მიბრუნდება. 1801 წლიდან მოყოლებული დღემდე რუსეთისგან თავის დაღწევას ვცდილობთ. ამ წლების განმავლობაში მრავალი უბედურება და ომი გადავიტანეთ, რომლის დროსაც ყოველი მეშვიდე ქართველი დაიღუპა. მეორე მსოფლიო ომს თუ ჩავთვლით, გამოდის, რომ ყოველი მეხუთე ქართველი რუსეთის გამოა დაღუპული. ეს ყველაფერი ჩვენს მეხსიერებაშია დალექილი და მათ ორბიტაზე არასდროს დავბრუნდებით.

რუსეთს საქართველოს მოსახლეობის გულის მოგება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია, თუ ტერიტორიებს დააბრუნებს და საქართველოს სუვერენიტეტს პატივს სცემს.

ლეიბორისტული პარტია პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდებს

ლეიბორისტული პარტიის აზრით, იმისათვის, რომ ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტი შენარჩუნდეს, პრეზიდენტი ვადაზე ადრე უნდა გადადგეს.

ამის შესახებ პარტიის წევრმა პაატა ჩოხელმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და პრეზიდენტის მრჩეველთან ოპოზიციური პარტიების შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ოპოზიციურ პარტიებს საშუალებას მისცემს, კანდიდატად აბსოლუტურად ნეიტრალური ადამიანი წარადგინონ.

– მოთხოვნა არის ძალიან მარტივი, რომ გადადგეს პრეზიდენტი მარგველაშვილი და დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ეს არის შანსი, რომ ჩვენ შევინარჩუნოთ პრეზიდენტის ინსტიტუტი.

მოთხოვნა არის ძალიან მარტივი, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი გადადგეს და დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა აბსოლუტურად ნეიტრალური კანდიდატი გაიყვანონ არჩევნებზე.

ეს არის ერთადერთი შანსი, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელიდან გამოვგლიჯოთ, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც აკონტროლებს და არ მოხდეს მთელი სახელისუფლებო სპექტრის უზურპირება. სამწუხაროდ, პრეზიდენტი არ ესწრებოდა ამ შეხვედრას და ვნახოთ, რა პასუხს მივიღებთ, – განაცხადა ჩოხელმა.

მედიანიუსი

ქვაბისხევში ექსკურსიაზე პედაგოგი თამარ გოზალიშვილი დაიღუპა

გორის მე-3 სკოლისთვის 3 ივნისი ტრაგიკული აღმოჩნდა

ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევში უბედური შემთხვევა მოხდა.

3 ივნისს გორის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგები ბორჯომის ხეობაში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ, როდესაც ეკლესიის მოსალოცად კლდოვან ადგილზე ასულ ერთ-ერთ პედაგოგს ფეხი დაუცურდა და ხევში გადავარდა.

კოლეგებმა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა თამარ გოზალიშვილის ცხედარი რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ იპოვეს.

58 წლის გოზალიშვილი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა.

სკოლის დირექტორ ვახტანგ სუხიტაშვილის განცხადებით, გარდაცვლილს სხეულზე კლდეზე ვარდნის შედეგად მიღებული მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა.

– ძალიან სამწუხარო ამბავი შეგვემთხვა. მხოლოდ მასწავლებლები ვიყავით ექსკურსიაზე. ასეთი ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენი სკოლისთვის სასწავლო წლის დამთავრება, – თქვა სკოლის დირექტორმა.

პედაგოგებმა ამ ადგილის მონახულება შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გადაწყვიტეს, რადგან ეკლესიაში, სავარაუდოდ, შოთა რუსთაველისა და დედამისის ფრესკებია (წარწერით „შოთაი და იაი“) გამოსახული.

მათემატიკის პედაგოგი თამარ გოზალიშვილი გორის მე-3 საჯარო სკოლაში დაახლოებით 30 წლის განმავლობაში მუშაობდა. გარდაცვლილის კოლეგების განცხადებით, ქვაბისხევში აღნიშნულ მონაკვეთზე საკმაოდ სახიფათო ადგილებია და დამცავი ჯებირები გაკეთებული არ არის, რის გამოც ტრაგედია მოხდა.

ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო.

მე-3 საჯარო სკოლისთვის 3 ივნისი კიდევ ერთი ტრაგედიით დასრულდა. ამავე სკოლის მოსწავლეს გორში მანქანა დაეჯახა და მისი გადარჩენა ექიმებმა ვეღარ შეძლეს.

ქართლი.ge



მერიასთან და ფილარმონიასთან მრავალსართულიანი პარკინგი მოეწყობა

– თბილისის მერიასთან, ფილარმონიასთან, ეროვნულ სტადიონთან და კიდევ 7 ადგილზე, დედაქალაქში მრავალსართულიანი პარკინგის მოსაწყობად მერია ტენდერს უახლოეს პერიოდში გამოაცხადებს.

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

ნარმანიას თქმით, კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი კონკრეტული ადგილები შეარჩიეს. ამჟამად სატენდერო დოკუმენტაცია მზადდება, რის შემდეგაც ტენდერი გამოცხადდება.

– მრავალსართულიანი პარკინგების მოსაწყობად ტექნიკურ დოკუმენტაციაზე მუშაობა დასრულებულია და თბილისის მერიამ ეს დოკუმენტაცია უკვე ჩაიბარა. მოხდა კონკრეტული ადგილების შერჩევა. ეს ადგილები კომერციული თვალსაზრისით შესწავლილია და ათივე ადგილი არის მიმზიდველი. ამჟამად მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, რის შემდეგაც ტენდერი გამოცხადდება, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ბიბიენი

რომან კაკულია: „ბუნებრივი აირის გაძვირებას უნდა ველოდოთ“

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია ვარაუდობს, რომ შესაძლოა ბუნებრივ აირზე ტარიფი გაიზარდოს.

კაკულია გამოეხმაურა გაზის კომპანიების სემეკისადმი მიმართვას, რომელიც ტარიფების გაზრდას შეეხება.

– მოლოდინი მეც ისეთი მაქვს, რომ ლოგიკა არის მათ მოთხოვნაში. უკვე ძალიან ბევრი წელია, ტარიფის ზრდა არ მომხდარა. პრინციპში, იმის გათვალისწინებით, რომ მოხმარება იზრდება, რასაც ტარიფის ფორმირებაში აქვს მნიშვნელობა, შენიშვნა იქნება და ალბათ უნდა ველოდოთ გარკვეულ გაძვირებას. პირველ რიგში, უნდა ვისაუბროთ რამდენად ლოგიკურია საერთოდ გაზრდა, და შემდეგ ნეგატიური ეფექტები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ, – განაცხადა რომან კაკულიამ.

ბიბიენი

საპარტნიორო ფონდი რომანოვების სასახლის სარეაბილიტაციოდ 771.000 ლარს იხდის

– გათბობის სისტემის გაუმართავი მუშაობა და ხშირი გამოსვლა მწყობრიდან ზამთრის პერიოდში მნიშვნელოვნად აზიანებს შენობის ინტერიერს, ვერ ხერხდება რომანოვების სასახლეში არსებული კულტურული ფასეულობების შენახვისათვის საჭირო ტემპერატურული რეჟიმის დაცვა.

სასახლის სახურავიდან ჩამოდის წყალი, რაც აზიანებს შენობის კედლებს, ასევე, წვიმისა და თოვლის დროს, მეორე სართულის ვერანდიდან პირველი სართულის დიდ დარბაზში სახურავის მთლიან პერიმეტრზე ხდება წყლის ჩამოჟონვა.

პარკში დარგულ უნიკალური ჯიშის ხე-მცენარეებს მოედო დაავადება, სახეზეა მათი ხმობის პროცესი, – აცხადებს შპს „ლიკანის რეზიდენცია“, რომელიც ლიკანში, რომანოვების სასახლის კომპლექსის სარეაბილიტაციო-საპროექტო მომსახურების შესყიდვას შეზღუდულ ვადებში, ტენდერის გარეშე ითხოვს.

– საპროექტო მომსახურების შესყიდვის დროული დაწყების შემთხვევაში, ზამთრის პერიოდამდე დაიწყება სამშენებლო სამუშაოებიც, აღნიშნული ფასეულობები მშენებლობის პერიოდში დროებით გადანაწილდება სხვადასხვა მუზეუმებში. ასევე, მხოლოდ პარკის დაგეგმარების შემდგომ იქნება შესაძლებელი ხე-მცენარეების, მწვანე საფარისა და ბილიკების განლაგების განსაზღვრა, – აღნიშნულია „ლიკანის რეზიდენციის“ მიერ შესყიდვების სააგენტოში გაგზავნილ წერილში.

შპს „ლიკანის რეზიდენცია“, როგორც შვილობილი კომპანია, სს „საპარტნიორო ფონდმა“ 2017 წლის აპრილში დააფუძნა. ამ კომპანიას ფონდმა უსასყიდლო სარგებლობაში გადასცა რომანოვების სასახლის კომპლექსი.

აღნიშნული კომპლექსი საპარტნიორო ფონდს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ აღნაგობისა და თხოვების უფლებით იმ პირობით გადასცა, რომ ფონდი სააგენტოსთან შეთანხმებით განახორციელებს ამ კომპლექსის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას.

„ლიკანის რეზიდენციაში“ აცხადებენ, რომ კომპლექსი შედგება სასახლის, პარკის, საკონფერენციო ბლოკისა (ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის) და ორანჟერეისაგან; ძეგლის რეაბილიტაციისათვის კი აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის (არქიტექტურული საპროექტო, საინჟინრო საპროექტო, პარკის მოწყობისა და დაგეგმარების) მომზადება.

ამ დოკუმენტაციის მომზადებისთვის 771 ათასი ლარია გათვალისწინებული. პროექტი 2017 წლის ივნისიდან 31 დეკემბრამდე უნდა მომზადდეს.

ნეტგაზეთი

საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 4.3%-ია დაზღვეული

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ცნობით, საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 4.3%-ია დაზღვეული. ეს კი მაშინ, როცა ქვეყანაში ავტომობილების რიცხვმა მილიონს გადააჭარბა და 1.227.195 შეადგინა.

2017 წლის პირველ კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) დაზღვევაში მოზიდული სადაზღვევო პრემიის ოდენობა 4.11 მილიონი ლარით გაიზარდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) დაზღვევის სახეობაში მოქმედი პოლისების რაოდენობა მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში 2016 წლის 1-ელ კვარტალთან შედარებით, 3 485-ით გაიზარდა. კერძოდ, 2017 წლის პირველ კვარტალში სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე 56,112 პოლისია გაცემული; 2016 წლის ამავე პერიოდში – 52,627; ხოლო 2015 წლის პირველ კვარტალში – 47,959 პოლისი.

ბიბიენი

„მოგეცით სამართლიანი სასამართლოს შანსი!“

ადვოკატი საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართავს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, მოქალაქე როლანდ ბლადაძის ადვოკატი არჩილ კაიკაციშვილი სასამართლო ხელისუფლების მიმართ ღია წერილს აქვეყნებს, რომელიც სახელმწიფოს სახით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქის ჩამორთმეულ, სადავო ქონებაზე უზენაესს სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში შექმნილ ვითარებას ეხება და აღნიშნავს, რომ თუკი ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა მაია ვაჩაძემ და ნუგზარ სხირტლაძემ განიხილეს, ეს იქნება საქმის სიკვდილი ამ მოსამართლეების ხელში, რაც ნიშნავს დაზარალებული მოქალაქის უფლებების სასამართლოს მხრიდან აბუჩად აგდებასა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ფეხქვეშ გათელვას თავად სასამართლო სისტემის მესვეურთა მხრიდან. არჩილ კაიკაციშვილის წერილსა და საქმეზე მოსაზრებებს უცვლელად გთავაზობთ.

არჩილ კაიკაციშვილი: „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, როლანდ ბლადაძის ადვოკატი:

– უზენაეს სასამართლოსთან სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ცნობილი გახდა, რომ როლანდ ბლადაძის საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე მაია ვაჩაძეს. მინდა საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია, თუ რატომ ხედავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მოსამართლის მხრიდან მხარე სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის, კანონის დარღვევისა და მხარის ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლებებიდან უმთავრესის – საკუთრების უფლების ფეხქვეშ გათელვის მოლოდინს. როლანდ ბლადაძემ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, სასამართლოს შუამდგომლობით უკვე მიმართა და აღნიშნა, რომ მის განხილვაში მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ უზენაესი სასამართლოს შემადგენლობიდან შემდეგ მოსამართლეებს: მაია ვაჩაძესა და ნუგზარ სხირტლაძეს. ჩვენ მოვითხოვეთ ამ მოსამართლეების უპირობოდ აცილება შემდეგ გარემოებათა გამო:

როლანდ ბლადაძის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ უნდა შექმნას საქმის წარმოების მაღალი სტანდარტი, სადაც წარდგენილ ყველა მტკიცებას ექნება დასაბუთების მაღალი ხარისხი, სასამართლოს მხრიდან მხარის ყველა არგუმენტს ექნება დასაბუთების ისეთი ხარისხი, რომელიც არა მხოლოდ მომჩივანი მხარისთვის დატოვებს რწმენას, რომ საქმე განიხილა დამოუკიდებელმა და თავისუფალმა სასამართლომ. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მხარის იმ პრეტენზიების პირობებში, როდესაც ქვემდგომმა ინსტანციებმა განახორციელეს პოლიტიკური მართლმსაჯულება. ასეთი სამართლებრივი პრეტენზიები არსებობს მაია ვაჩაძისა და ნუგზარ სხირტლაძის მიმართაც, რომლებმაც 2013-2014 წლებში უკვე განიხილეს ბლადაძის ქონებრივი დავა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2013 წლის 9 სექტემბერს ლევან მურუსიძის (თავმჯდომარე) მაია ვაჩაძისა და ნუგზარ სხირტლაძის მონაწილეობით, განიხილა როლანდ ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნები სასამართლოს შორის განსჯადობის საკითხის დადგენის მიზნით. დავის საგანს წარმოადგენდა პრეზიდენტისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის აქტების ბათილად ცნობა. აღნიშნულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 25 ოქტომბერს მაია ვაჩაძის (თავმჯდომარე), ლევან მურუსიძისა და ნუგზარ სხირტლაძის შემადგენლობით მიიღო გადაწყვეტილება და როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივრი დაუშვებლად ცნო. სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის განჩინება. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებები გამოიყენა თბილისის საქალაქო სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ დღეს სახელმწიფოსთან და გიორგი პაპუაშვილთან მიმდინარე დავაში.

ყველაზე საგანგაშო კიდევ სხვა არის – მაია ვაჩაძე უშუალოდ მონაწილეობდა 2004 წლის ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საჩივრის განხილვაში. ეს ის გადაწყვეტილებაა, რომლითაც მიხეილ საკაშვილის ხელისუფლებამ როლანდ ბლადაძეს ქონება ჩამოართვა, ხოლო ქონების ჩამორთმევა მაია ვაჩაძემ კანონიერად მიიჩნია (დღეს როლანდ ბლადაძე უდანაშაულოდ არის ცნობილი, პროკურატურის დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლის საქმე სწორედ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო).

დღეს არსებობს საფუძვლიანი წინაპირობები, რომ მაია ვაჩაძე და ნუგზარ სხირტლაძე აცილებულ იქნენ საქმიდან. კანონით, „მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში“. მხარეს არ გააჩნია განცდა, რომ ბლადაძის საკასაციო საჩივარი მაია ვაჩაძისა და ნუგზარ სხირტლაძის მონაწილეობით, წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების გამო, პერსპექტიული იქნება. ეს მოსამართლეები პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული არიან საქმის შედეგით. სსსკ-ის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, მომჩივნის სასარგებლოდ გადაწყვიტოს ყველა ეჭვი დაინტერესებისა და მიკერძოების თაობაზე. ამავე დანაწესის თანახმად, ასეთმა მოსამართლეებმა არათუ არ უნდა განიხილონ, არამედ უფლება არ აქვთ, მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ აქვს უნარი, საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ აქვს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი. უზენაესმა სასამართლომ საქმეზე უნდა იხელმძღვანელოს სამართლის დოქტრინაში აღიარებული მიუკერძოებლობის სუბიექტური და ობიექტური ტესტის პრინციპით. ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ, უნდა გაირკვეს, რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამორიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით, რამდენად აქვს ადგილი ფაქტებს, რომლებმაც შესაძლებელია წარმოიშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებით. ევროსასამართლო მოსამართლის მიუკერძოებლობას განმარტავს, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არქონას“.

ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განმხილველი მოსამართლე დიანა ფარქოსაძის მიმართ სავარაუდო კორუფციული სამართალდარღვევის ფაქტზე საქმეს იკვლევს მთავარი პროკურატურა და იუსტიციის უმაღლესის საბჭო, ბლადაძის საქმე სააპელაციო სასამართლოში განხილულ იქნა იმ ვითარებაში, რომლის აწ გადამდგარი თავმჯდომარე ვალერიან ცერცვაძეც 2004 წელს, პროკურატურის გაცემული მინდობილობის საფუძველზე, უშუალოდ, ფიზიკურად მონაწილეობდა ბლადაძის ქონების ჩამორთმევის პროცესში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე დანიშნული პირველი მოსამართლეთა შემადგენლობა სწორედ წარსულში მათი საქმესთან შემხებლობისა და მიკერძოების გამო იქნა აცილებული (გიორგი გოგიაშვილი, მანანა ჩოხელი, ნინო ქადაგიძე – ამ უკანასკნელმა სწორედ მაია ვაჩაძესთან ერთად 2004 წელს განიხილა ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილება და იყო საქმის მომხსენებელი მოსამართლე. ასევე, სწორედ ნინო ქადაგიძის განჩინებით მოეხსნა სადავო ქონებას ყადაღა), ხოლო პალატის ახალ შემადგენლობას – მერაბ ლომიძეს, თეა ძიმისტარაშვილსა და ამირან ძაბუნიძეს (პალატაში თავიდანვე ირიცხებოდა მოსამართლე მირანდა ერემაძე, რომელსაც პირველ ინსტანციაში ჰქონდა ბლადაძის საქმე განხილული და მოხდა თვითაცილების ინსცენირება, მის ნაცვლად სხდომაზე გამოცხადდა ამირან ძაბუნიძე), მხარეს გააჩნია ღრმა უნდობლობა, რომ საქმე განიხილა მიკერძოებულმა მოსამართლეთა შემადგენლობებმა, რაც დაშვებულია საკასაციო სასამართლოშიც.

მაია ვაჩაძისა და ნუგზარ სხირტლაძის დანიშვნა საქმის განმხილველ მოსამართლეებად ვერ უპასუხებს სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპებს, რომელსაც მხარე საქმეზე სასამართლო დავის მომენტიდან მოითხოვს. საქმე, კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაეცეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია, დანიშნოს ახალი შემადგენლობა.

საქმეზე კიდევ ერთი უკანონობის დაშვება არა მარტო როლანდ ბლადაძის საქმეს, არამედ მთელ სასამართლო სისტემას კიდევ ერთხელ დაანგრევს. საქმე უნდა დაეწეროს იმ მოსამართლეთა შემადგენლობას, რომლებსაც მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ საქმის განხილვაში არცერთ ეტაპზე, არ გააჩნიათ მიკერძოების ან დაინტერესების არავითარი საფუძვლები. მიეცით მხარეს შესაძლებლობა, რომ საქმე განიხილოს მიუკერძოებელმა სასამართლომ. არ მოუსპოთ მხარეს უკანასკნელი შანსი, რომელიც საკუთარ ქვეყანაში უსამართლობის დასრულებას ეხება.

„აფგან მუხთარლის 2 გამჭაცებელი პოლიციის ფორმაში იყო“

3 ივნისს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ადვოკატმა „ადამიანის უფლებათა სახლში“ ბრიფინგი გამართა და საქმის ახალ დეტალებზე ისაუბრა.

მისი თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თბილისში 3-მა პირმა გაიტაცა, რომელთაგან ორს ძალოვანი უწყების ფორმა ეცვა, ერთი კი სამოქალაქო ფორმაში იყო ჩაცმული.

– სახლში მიდიოდა. დაშგინ აგარარლის ტელეფონიდან დარეკა სახლში და ცოლს ჰკითხა, რამე ხომ არ უნდოდა. წავიდა მაღაზიაში პურის საყიდლად, შემდეგ დაადგა სახლის გზას. ჭონქაძის ქუჩასთან ოპელის მარკის მანქანა გაჩერდა და 3 ადამიანი გადმოვიდა, რომელთაგან 2 პოლიციის ფორმაში იყო, ერთი – სამოქალაქო ტანსაცმელში. გადმოვიდნენ მანქანიდან და აიძულეს, მანქანაში ჩამჯდარიყო, – თქვა ნემატ ქარიმლიმ.

მისი თქმით, მუხთარლის სცემეს, რისი შედეგიც მას სხეულზე აღენიშნება. ჟურნალისტმა წინააღმდეგობის გაწევა ცადა, რაც დამატებით ცემით დასრულდა.

ადვოკატი განმარტავს, რომ აზერბაიჯანში გადასვლამდე პირებმა, რომელთაგან რამდენიმე ქართულად საუბრობდა, ავტომობილი სამჯერ გამოიცვალეს.

ადვოკატი მოითხოვს, ჟურნალისტის საქმე მთავარმა პროკურატურამ გამოიძიოს.

ადვოკატის თქმით, ის წითელი ჯვრის ბაქოს ოფისს დაუკავშირდა, თუმცა ამ ორგანიზაციის წევრებმა ბიუროკრატიული მიზეზების გამო მუხთარლისთან შესვლა ვერ შეძლეს.

– დავუკავშირდი წითელი ჯვრის ბაქოს ოფისს და ეს ინფორმაცია შევატყობინე. მათი მხრიდან იყო მცდელობა აფგან მუხთარლისთან შესვლის, მაგრამ რაღაც ბიუროკრატიული მიზეზებით არ დაუშვეს მასთან წითელი ჯვარი. აქედან გამომდინარე, მის მდგომარეობასთან დაკავშირებული კითხვები კვლავ საგანგაშოა, – განაცხადა ადვოკატმა.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ოჯახმა 29 მაისს განაცხადა, რომ მუხთარლი გაუჩინარდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ბაქოში, სახელმწიფო საზღვრის სამსახურის საგამოძიებო განყოფილებაში იმყოფებოდა.

აზერბაიჯანის პროკურატურის განცხადებით, აფგან მუხთარლიმ საზღვარი გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, პირადობის მოწმობის გარეშე გადაკვეთა.

სხვა ვერსია აქვს ჟურნალისტის ოჯახს. როგორც აფგან მუხთარლის ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს თავზე ტომარა ჩამოაცვეს და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიჰყავდათ მანქანით გაურკვეველი მიმართულებით. მანქანა ორჯერ გამოიცვალეს. მესამე მანქანაში აზერბაიჯანულად ლაპარაკობდნენ.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის სიტყვებით, როცა მას ტომარა მოხსნეს, იგი აზერბაიჯანის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში იმყოფებოდა. მუხთარლის თქმით, მას 10 ათასი ევრო ჩაუდეს.

აზერბაიჯანის ხელისუფლება მას საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და კონტრაბანდის ბრალდებებს უყენებს. აფგან მუხთარლი და მისი მეუღლე, ჟურნალისტი ლეილა მუსტაფაევა ამბობენ, რომ ისინი ჟურნალისტური საქმიანობისა და კრიტიკული პოზიციების გამო აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან სისტემატურ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ.

ადვოკატი: „გვსურს, მუხთარლის საქმე მთავარმა პროკურატურამ გამოიძიოს“

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი მოითხოვს, საქმე მთავარმა პროკურატურამ გამოიძიოს.

– ამჟამად საქმეს ძველი თბილისის სამმართველო იძიებს და ძველი თბილისის პროკურატურა ზედამხედველობას ახორციელებს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ისაა, რომ ჩნდება ეჭვი, მაღალი თანამდებობების დონეზე იყო არაკანონიერი თანამშრომლობა აზერბაიჯანულ და ქართულ მხარეს შორის. შესაბამისად, გვსურს საქმე მთავარმა პროკურატურამ გამოიძიოს, – განაცხადა ჟურნალისტის ადვოკატმა და „ადამიანის უფლებათა სახლის“ იურისტმა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს შსს-მ გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ს 143-ე მუხლით, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი „მწვანე საზღვარზე“ დააკავეს და არა – გამშვებ პუნქტზე.

თუმცა, მუხთარლის ახლობლებს, ჟურნალისტების და არასამთავრობო სექტორის ნაწილს არ სჯერა, რომ მისი საქართველოში გაუჩინარება და აზერბაიჯანში გადაყვანა ქართული სპეცსამსახურების დახმარებისა თუ მათი უმოქმედობის გარეშე მოხდა.

პროკურატურამ მერაბ ღოღობერიძეს ბრალი დაუმძიმა

პროკურატურამ მერაბ ღოღობერიძესთან დაკავშირებით ბრალდების ფორმულირება შეცვალა.

ამის შესახებ ღოღობერიძის ადვოკატმა პაატა შავაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

როგორც ადვოკატი ამბობს, ცვლილების მიხედვით, მერაბ ღოღობერიძეს აქციის ხელმძღვანელობა ედება ბრალად. პაატა შავაძე პროკურატურას უუნარობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ღოღობერიძესთან დაკავშირებით ბრალის დამძიმება მიზანმიმართულად ხორციელდება.

– პროკურატურამ მერაბ ღოღობერიძესთან მიმართებით ბრალდების ფორმულირება შეცვალა. თუ აქამდე მერაბ ღოღობერიძე აქციის ორგანიზატორად მოიაზრებოდა, ახლა პრაქტიკულად ღოღობერიძეს აქციის ხელმძღვანელობა ედება ბრალად. ეს არის პროკურატურის უნიჭობა, რადგან თავადაც არ იციან, რა დააბრალონ მერაბ ღოღობერიძეს. საქმეზე ორშაბათს ბრიფინგს გავმართავთ, სადაც ღოღობერიძის ოჯახის წევრებთან ერთად მისი ჯანმრთელობის შესახებ ვისაუბრებთ, ამასთან, სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც გავახმაურებთ, – აცხადებს შავაძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციასთან ბრძოლის“ საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი მერაბ ღოღიბერიძე ბათუმში სამართალდამცავებმა ღვედის არქონის გამო დასაჯარიმებლად გააჩერეს, მოგვიანებით კი პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის დააკავეს. იგი წინასწარი დაკავების იზოლატორიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოგვიანებით კი მას ბრალი სისხლის სამართლის მუხლითაც წაუყენეს და აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს.

ბათუმის მოვლენების განვითარებამდე მერაბ ღოღობერიძემ აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან საპროტესტო აქცია გამართა. იგი სამმართველოს უფროსის, კახა ბუხრაძის, გადადგომას ითხოვდა.

11-12 მარტს პლაზას მიმდებარე ტერიტორიაზე, სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის დაპირისპირება მოხდა, სადაც რამდენიმე პირი დააკავეს. პროტესტის ნიშნად, აქციის მონაწილეებმა, აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან გადაინაცვლეს. აქცია მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეკრებილები კახა ბუხრაძის გადადგომას და დაკავებულების გათავისუფლებას ითხოვდნენ.

ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით ათეულობით მოქალაქე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე დააკავეს და გაათავისუფლეს, სისხლის სამართლის ბრალდებით კი 20-მდე პირს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხის უკანონო სახერხი საამქროები აღმოაჩინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით მასშტაბური ღონისძიება გაატარეს.

გატარებული ღონისძიების შედეგად გამოვლინდა არარეგისტრირებული სახერხი საამქროები.

ამოღებულია 11 უკანონო სახერხი დანადგარი, 16 მ3 პირველადი გადამუშავების პროდუქტი – ფიცარი და 15 მ3 მორი.

შემოწმება ერთდროულად ოთხ სოფელში – ყვიბისში, საკირეში, ჭობისხევსა და დგვარში განხორციელდა და მასში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 45 თანამშრომელი მონაწილეობდა.

გამოვლენილ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შედგა 12 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. ამოღებული სახერხი დანადგარები გადატანილია ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მსგავსი პრევენციული ღონისძიებების გატარებას სხვა რეგიონებშიც გეგმავს.

„მაყურებლის სტატუსი“ და ქურდული გარჩევა ხობის ცენტრში

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, 3 მაისს, ღამით, ხობში ქურდულ გარჩევას ჰქონდა ადგილი. ადგილობრივი კორესპონდენტის ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკება „მაყურებლის სტატუსის“ დანიშვნაზე მოხდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, გ.ხ. ზურგის არეში დაჭრეს და წმინდა ლუკას ცენტრში ჰყავდათ გადაყვანილი, სადაც ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის მისი მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა და ის ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული.

მომხდარს „ნიუპოსტთან“ ადასტურებენ ადგილობრივებიც. მათი ინფორმაციით, დაჭრილია რამდენიმე პირი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და იკითხება დაჭრილი.

დაზარალებულის თქმით, მან მიიყენა თვითდაზიანება.

სხვა ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში პოლიცია იმოქმედებს შესაბამისად. მომხდარზე გამოძიება ამ დროისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით გულისხმობს.

28.000 ევრო მინდაძეს უნდა გადაუხადოთ, 16.000 ევრო — ნემსიწვერიძეს

სტრასბურის სასამართლომ საქართველოს ჯარიმა დააკისრა

2017 წლის 1 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე - „მამუკა ნოზაძე საქართველოს წინააღმდეგ“ და „დავით მინდაძე და ვალერიან ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილებები გამოაქვეყნა.

საქმე „მამუკა ნოზაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ეხება 2005 წლის 3 ნოემბერს ადვოკატ მამუკა ნოზაძის დაკავებისა და მისი შემდგომი პატიმრობის შედეგად მომჩივნის პრეტენზიებს ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლის საფუძველზე.

2017 წლის 1 ივნისს გამოტანილი განჩინებით ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა საქართველოს მთავრობის არგუმენტაცია და მომჩივნის ყველა პრეტენზია მიუღებლად გამოაცხადა.

რაც შეეხება საქმეს „მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“, ის ეხება წინა ხელისუფლების მიერ მომჩივნების დავით მინდაძისა და ვალერიან ნემსიწვერიძის მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა უკანონო ქმედებას, მათ შორის, წამებასა და უკანონო პატიმრობას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ორივე მომჩივანი დაკავეს 2004 წელს და ბრალად დასდეს საქართველოს პარლამენტის წევრთან (კ.გ.) დაკავშირებული თავდასხმა.

ეროვნულმა სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო, მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობისთვის.

საქმეზე სტრასბურის სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევა:

კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა ეხება 2004 წლის 13 მაისს მომჩივან მინდაძის წამებას პოლიციელების მიერ, რაც გამოიხატებოდა სასტიკი ცემითა და ელექტროშოკის გამოყენებით. მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა, აგრეთვე, 2004 წლის 13 მაისის წამების ფაქტის გამოძიების არაეფექტიანობის გამო.

მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) პირველი პუნქტის დარღვევა ეხება მომჩივნების წინასწარ პატიმრობას 2005 წლის 13 იანვრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე, რომელიც სტრასბურის სასამართლომ უკანონოდ ცნო. ამავე მუხლის მესამე პუნქტის დარღვევა ეხება 2004 წლის 10 ნოემბრისა და 2005 წლის 7 ივნისის პატიმრობის შესახებ განჩინებების დაუსაბუთებლობას.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა ეხება მომჩივნების სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას, რაც გამოიხატა მომჩივან მინდაძისაგან აღიარებითი ჩვენებისა და სხვა განცხადებების წამების გზით მოპოვებით, ასევე, მომჩივნების უფლების დარღვევით, ესარგებლათ მათი არჩეული ადვოკატის მომსახურებით სამართალწარმოების საწყისი ეტაპიდან.

სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა 28.000 ევროს გადახდა მინდაძის და 16.000 ევროს გადახდა ნემსიწვერიძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით; ასევე, 4.800 ევროს გადახდა ორივე მომჩივნის სასარგებლოდ ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ტერაქტები ლონდონის ცენტრში

ლონდონის ცენტრში ორი ტერაქტი მოხდა.

ქალაქის ხიდზე ფურგონი ხალხის ნაკადში შეიჭრა, გადაუარა და გზა განაგრძო, მივიდა ბოროს ბაზრამდე და გაჩერდა. ფურგონიდან 3 პირი გადმოვიდა, რომლებიც სანადირო თოფებით იყვნენ შეიარაღებული და ხალხს დაერივნენ.

პოლიციამ სამივე მათგანი მოკლა.

სულ ამ ორი ტერაქტის შედეგად დაიღუპა 7 ადამიანი.

პრემიერმა ტერეზა მეიმ სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადა, რომ დამნაშავეთა გამოსავლენად სათანადო ღონისძიებები ტარდება. მეიმ მადლობა გადაუხადა პოლიციასა და კონტრდაზვერვას, რომელმაც მცირე დროში ტიტანური სამუშაო ჩაატარა.

საბოლოოდ ტერაქტის შედეგად დაზიანება 30-მდე ადამიანმა მიიღო. ყველა მათგანი ჰოსიტალიზებულია.

მატისი: „აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის კონფრონტაცია გამორიცხული არ არის“

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეაზე სანქციები არ მოქმედებს. პირიქით, ფხენიანმა ბირთვული იარაღის დამზადება უფრო ინტენსიურად დაიწყო. აშშ-ის თავდაცვის მინისტრიც ჩრდილოეთ კორეასთან სამხედრო დაპირისპირებას არ გამორიცხავს.

– სამწუხაროდ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას სასურველი შედეგი არ მოაქვს. აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის სამხედრო დაპირისპირება არ არის გამორიცხული, – განაცხადა ჯეიმს მატისმა.

კიევში ადამ ოსმაევი კინაღამ მოკლეს

უკრაინის დედაქალაქში მორიგი დანაშაული მოხდა. ამჯერად ქილერის სამიზნე ადამ ოსმაევი

გახდა, ჩეჩენი, რომელსაც თავის დროზე რუსეთის ხელისუფლება პუტინზე თავდასხმის ორგანიზებას სდებდა ბრალად.

ქილერმა ოსმაევს დაურეკა და თავი ფრანგული „მონდის“ ჟურნალისტად გააცნო. მან გამოთქვა სურვილი, ოსმაევისა და მისი მეუღლის ამინა ოკუევასგან ინტერვიუ აეღო.

ოსმაევი „ჟურნალისტთან“ შესახვედრად მეუღლესთან ერთად გაემართა.

შეხვედრისას „ჟურნალისტმა“ რევოლვერი იძრო. მან ოსმაევს ესროლა. ამინამ საპასუხო გასროლით ის მძიმედ დაჭრა, რითაც ქმრის სიცოცხლე იხსნა.

ოსმაევი, ისევე, როგორც დაჭრილი ქილერი, ჰოსპიტალიზებულია. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დადგენილია, რომ ქილერი გამოცდილი ბოროტმოქმედია. მის სინდისზეა არაერთი ჩეჩნის სიცოცხლე. სავარაუდოდ, მკვლელი რამზან კადიროვის შეკვეთებს ასრულებდა.

– ჩემი და ჩემი მეუღლის სიკვდილი როგორც კადიროვის, ასევე პუტინისთვისაც ხელსაყრელია. ამიტომ მკვლელობის მცდელობაში ორივეს ვადანაშაულებ, – ამბობს ოკუევა.

მასობრივი მკვლელობა ტვერში

რუსეთის ქალაქ ტვერში სისხლიანი ინციდენტი მოხდა.

მთვრალების ჩხუბი ტრაგიკულად დასრულდა. ერთ-ერთმა მამაკაცმა სანადირო თოფიდან ცეცხლი გახსნა. შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა.

მკვლელი დააკავეს. მიმდინარეობს გამოძიება.

ქაბული: მანიფესტაციის დახვრეტას ტერაქტი მოჰყვა

ავღანეთის დედაქალაქში პოლიციამ მშვიდობიანი მანიფესტაცია დახვრიტა.

დემონსტრანტები პრეზიდენტის სასახლისაკენ მიემართებოდნენ. ისინი ქვეყანაში შექმნილ განუკითხაობას აპროტესტებდნენ.

სროლის შედეგად 5 მანიფესტანტი დაიღუპა. მათ შორისაა ავღანეთის სენატის თავმჯდომარის ვაჟი.

დემონსტრანტების დაკრძალვისას ახალი სისხლიანი ინციდენტი მოხდა. დაკრძალვის ცერემონიალის დროს სასაფლაოზე აფეთქებათა სერია გაისმა. დაიღუპა 12 ადამიანი.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

თურქეთში ახალგაზრდა დედა მშობიარობის შემდეგ დააკავეს

თურქეთში ახალგაზრდა დედა ნაზლი ნ. მერტი მშობიარობის შემდეგ ბავშვთან ერთად დააკავეს.

დაკავებულის მეუღლე, გიულენის მოძრაობის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში, თურქეთის ქალაქ ჩორუმში პატიმრობაში იმყოფება.

პოლიციელები მშობიარობის პერიოდში საავადმყოფოს არ მოშორებიან, გუშინ დილით კი დედა, ნაზლი ნ. მერტი, ბავშვთან ერთად პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ახალგაზრდა დედა პოლიციის განყოფილებაში ეტლით მიიყვანეს, რადგან მას ფეხით გავლაც კი არ შეეძლო.

გავრცელებული ინფორმაციით, დედა ნაზლი ნ. მერტი პოლიციელების ზეწოლის გამო ცუდად გახდა, წნევა დაუვარდა და მას სასწრაფოდ გადასხმა გაუკეთდა. გახშირებული ტკივილის გამო მერტი სასწრაფოდ სამშობიაროში გადაიყვანეს.

ბრიტანეთი არჩევნების წინ

დიდ ბრიტანეთში მალე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება.

გაიმართა უკანასკნელი ტელედებატები. ერთმანეთს პრემიერი ტერეზა მეი და ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჯერემი კორბინი დაუპირისპირდნენ.

დებატებში მეიმ გაიმარჯვა.

არჩევნების წინ კონსერვატორთა რეიტინგი ლეიბორისტებისას 10%-ით აღემატება. ორიოდე კვირის წინ კონსერვატორები თავიანთ კონკურენტებს 18%-ით უსწრებდნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალაქიდან ქალაქი

იორკშირის ტერიერმა პატრონი კობრისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა

სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიაში ძაღლი დაიღუპა, რომელმაც თავისი პატრონი კობრისგან გადაარჩინა.

იორკშირის ტერიერმა, სახელად სპაიკმა, შენიშნა გველი, რომელიც ადამიანს ეპარებოდა

და მას თავს დაესხა. მან ქვეწარმავლის მოკვლა მოახერხა, თუმცა გველმა მისთვის პირზე კბენა მოასწრო. გარდა ამისა, მან ქალის მეორე ძაღლსაც, სახელად პრინსეზს უკბინა ფეხზე. ერთ საათში ორივე ძაღლი დაიღუპა.

ძაღლის პატრონი ამტკიცებს, რომ მას კობრა არ შეუნიშნავს, სანამ ტერიერმა ის პირით არ მიუთრია.

– მე ისე ახლოს ვყოფილვარ გველთან, – ამბობს ქალი, – ვფიქრობ, სპაიკი რომ არ მივარდნოდა და მისთვის პირი კისერში არ ჩაევლო, ის მე დამგესლავდა.

ქალი კობრასთან შეხვედრას არ მოელოდა, ვინაიდან წლის ამ დროს მათ სძინავთ. ის ვარაუდობს, რომ ქვეწარმავალი მეზობლებმა შეაწუხეს, რომლებსაც საკუთარ ეზოში ქვები გადაჰქონდათ.

მუსლიმანმა ღორის ხორციანი პიცის გამო სარჩელში 100 მილიონი მოითხოვა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დირბორნში მუსლიმანმა მოქალაქემ ღორის ხორციანი პიცით ვაჭრობისთვის რესტორნების ქსელ Little Caesars-ს სასამართლოში უჩივლა.

დირბორნის მცხოვრებმა მოჰამედ ბაზიმ კომპანიას კონტრაქტის პირობების დარღვევა, ინფორმაციის დამახინჯება, ნაწარმის უკანონოდ გამდიდრება და თაღლითობა დასდო ბრალად. კომპენსაციის სახით ის კომპანიისგან 100 მილიონ დოლარს მოითხოვს.

სასარჩელო განცხადების თანახმად, მიმდინარე წლის 20 მარტს ბაზი და მისი მეუღლე რესტორანში ჩვეულებრივ პიცას შეექცეოდნენ და შენიშნეს, რომ პეპერონი ღორის ხორცისგან იყო დამზადებული. ამის გამო მათ პოლიციაში იჩივლეს, მაგრამ 24 მარტს ისტორია განმეორდა.

ბაზის ადვოკატმა მომხდარს აღმაშფოთებელი უწოდა.

– ჩემს კლიენტებს სურთ, რომ ამის შესახებ საზოგადოებამ იცოდეს, განსაკუთრებით – რამადანის დროს, – განაცხადა ადვოკატმა, რომელიც ფიქრობს, რომ სარჩელს სხვა დაზარალებულებიც შეუერთდებიან.

რესტორნების ქსელის წარმომადგენელმა ჯილ პროქტორმა განაცხადა, რომ კომპანია მისთვის წაყენებულ ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „ჯახჩელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასო. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

დინამო და ტორპედო მდევრებს გაექცნენ

ჩიხურა-ტორპედო 0:3

ივანწმინდა. ცენტრალური

0:1 კაპანაძე (17), 0:2, 0:3 დოლიძე (46, 59)

ჩიხურა: ჰამზიჩი, დობროვოლსკი (გორგიაშვილი 55), კაშია, კაკუბავა, ჩიკვაიძე, განუგრავა, სარდალიშვილი, კორიფაძე, ივანიშვილი (ლექვთაძე 70), ტატანაშვილი, დეკანოიძე (გელაშვილი 55)

ტორპედო: რ.კვასხვაძე, ხურცილავა, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, კუხიანიძე, გიგაური, დოლიძე (ტაბატაძე 64), ტუღუში, ბაბუნაშვილი (მამასახლისი 78), კაპანაძე (კუჭუხიძე 69)

ტორპედომ ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მე-6 გამარჯვება იზეიმა. იმერულ დერბიში ქუთაისელებმა უშანსოდ დატოვეს მასპინძელი ჩიხურა.

ივანწმინდაში საჩხერული გუნდი ძალზე იშვიათად თმობს მეტოქესთან თამაშს, მით უფრო დიდი ანგარიშით. ერთადერთი ასეთი მარცხი მას 2014 წელს თბილისის დინამოსთან ჰქონდა განცდილი და ახლა გაუორდა.

იმერული დერბი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა.

მე-10 წუთზე ანგარიშის გახსნის პირველი შესაძლებლობა მიეცათ, გიორგი კუხიანიძის გრძელი, გამოზომილი გადაცემის შემდეგ გრიგოლ დოლიძე საჯარიმოს წინა ხაზიდან საჩხერელთა კიპერისთვის ბურთის თავზე გადაგდებას შეეცადა, მაგრამ ხარიხას გადაალილა.

მე-17 წუთზე ტორპედო წინ გავიდა. გიორგი ქიმაძე შესანიშნავად გაისარჯა მარცხენა ფლანგზე, 3 საჩხერელს აუარა გვერდი და მარჯვნივ დოლიძეს უპასა, რომელმაც კარის წინ დაკიდა ბურთი, თორნიკე კაპანაძემაც ცენტრალურ მცველებს აჯობა და ნახტომში თავური დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი.

5 წუთში სტუმრებმა კიდევ ერთი სახიფათო იერიში განახორციელეს. ბექა ტუღუშმა მარცხნიდან კარგად გაჭრა კარის გასწვრივ – ღაშა ჩიკვაიძემ წამით დაასწრო დოლიძეს და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ტორპედოელთა კართან ხიფათის შემცველი ეპიზოდი 30-ე წუთზე შეიქმნა – როინ კვასხვაძემ საჯარიმოს გარედან გიორგი ივანიშვილის მიერ ძლიერად დარტყმული მოიგერია. ამას საპასუხო შეტევა მოჰყვა, 4 ტორპედოელი მცველის და მეკარის წინ დარჩა, თუმცა კარგი შანსი გაანიავეს. შესვენებამდე წუთით ადრე კაპანაძე იყო დუბლის შესრულებასთან ახლო. მან ზედიზედ დაარტყა კარში – პირველ შემთხვევაში დინო ჰამზიჩმა იყოჩაღა, მეორედ კი ბურთი მიზანს ასცდა.

განახლდა თუ არა თამაში, დოლიძემ იშვიათი სილამაზის გოლი მიითვალა: ტორპედოელთა ვეტერანმა საჯარიმოს გვერდითი ხაზის გარედან, მახვილი კუთხიდან, გამოზომილად დაარტყა და ბურთი მეკარის ზურგსუკან ჩაეშვა ბადეში. ქუთაისელთა შემტევი ამას არ დასჯერდა და 59-ე წუთზე ისევ ლამაზი გოლი გაიტანა – შოთა ბაბუნაშვილის პასის შემდეგ, საჯარიმოს შიგნიდან მოჭრილი დარტყმით ჰამზიჩს იმავე კუთხეში გაუტანა.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. ტორპედოელებმა მეტოქეს მშრალი ანგარიშისგან თავის დაღწევის საშუალებაც არ მისცეს.

შუქურა-დინამო (თბ) 1:4

1:0 კუტალია (7), 1:1 არაბული (15), 1:2 ჩაჩუა (19სკ), 1:3 ლობჟანიძე (28), 1:4 კუცია (47)

შუქურა: სტურუა (კამინსკი 58), ცეცხლაძე, ჩაჩუა, მახარაძე, კალანდაძე, კლიმიაშვილი (მალაზონია 35), ეეფინიუ, კუტალია, გურული (ჭეჭელაშვილი 83), არქანია, შალამბერიძე

დინამო: ლიტოვჩენკო, თევზაძე, ლოჩოშვილი, თოთაძე, სალუქვაძე, ქარდავა, კიტეიშვილი (კუცია 46), ჩაკვეტაძე, ლობჟანიძე, მიქელთაძე (მესხი 79), არაბული (პაპუნაშვილი 75)

მატჩი დედაქალაქელთათვის არც ისე სასიამოვნოდ დაიწყო: მე-6 წუთზე საჯარიმოში ღაშა თოთაძეს ბურთი მოხვდა ხელზე და თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. პენალტი ზუსტად ლევან კუტალიამ შეასრულა და ანგარიშიც გაიხსნა.

დინამომ მალევე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. გიორგი ჩაკვეტაძემ ითამაშა ტექნიკურად, ცრუ მოძრაობით რამდენიმე მცველს გაცდა და საჯარიმოს ხაზთან ბურთი გადააწოდა ბაჩანა არაბულს, რომელმაც სტატუსკვო აღადგინა.

მე-19 წუთზე დინამომ მეორედ აიღო შუქურას კარი. ისევ აღსანიშნავია ჩაკვეტაძის კარგი თამაში, რასაც საბა ლობჟანიძის დარტყმა მოჰყვა. საბოლოოდ ბურთი რომან ჩაჩუას მოხვდა და 1:2.

კიდევ 10 წუთი და ლობჟანიძემ ზუსტი და ტექნიკური საჯარიმო დარტყმით თბილისელები ორი ბურთით დააწინაურა.

37-ე წუთზე ბაჩანა არაბულს მართებდა კიდევ ერთი გოლის გატანა, თუმცა მეკარემ ბოლო წამს იყოჩაღა. პირველი ტაიმი, რომელიც დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა, 1:3 დასრულდა.

მეორე ტაიმი კახი კაჭარავამ ცვლილებით განაახლა. ოთარ კიტეიშვილის ნაცვლად მოედანზე გიორგი კუცია შემოვიდა, რომელმაც ერთ წუთში მასპინძელთა კარში შორი მანძილიდან ლამაზი გოლი გაიტანა. ახალგაზრდა დინამოელმა კარგად შენიშნა მეკარის მდგომარეობა მოედანზე და დაახლოებით 35 მეტრიდან დალაშქრა ქობულეთელთა კარი.

თამაში უფრო მშვიდ კალაპოტში გადავიდა და ძირითადად დინამოელთა ბურთის კონტროლით გაგრძელდა. 68-ე წუთზე თბილისელებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, თუმცა ბოლო წამს მასპინძელთა დაცვამ იყოჩაღა.

ამის შემდეგ შეხვედრაში ერთ-ერთმა საუკეთესო ჩაკვეტაძემ, კიდევ ერთხელ ითამაშა ტექნიკურად და საჯარიმოშიც შეიჭრა, საბოლოოდ ბექა მიქელთაძის დარტყმული კარს ასცდა.

შეხვედრაში მეტი განსაკუთრებული აღარაფერი მომხდარა და დინამომ მორიგი 3 ქულა მოიპოვა.

დინამო (თბ)-საბურთალო 0:1

ბათუმი. რაგბი არენა

0:1 შინდაგორიძე (15)

დინამო: ტაკიძე, ფარტენაძე, გოგიტიძე, შონია, გორელიშვილი (ქავთარაძე 78), კვირკველია, ფონიავა, თარხნიშვილი, ტვილდიანი, კვასოვი, კვანტალიანი (კენედი 63)

საბურთალო: კუპატაძე, სოფრომაძე, მამუჩაშვილი, გრიგალაშვილი, მალი, ხარაიშვილი, ელვინ ტერა, არზიანი, ვაგნერი (ლაკვეხელიანი 90), იმნაძე (ბიძინაშვილი 68), შინდაგორიძე (კოხრეიძე 65)

წარუმატებელ სერიას აგრძელებს ბათუმის დინამო. ზღვისპირელებმა საკუთარ ქალაქში დაბრუნების შემდეგ საშინაო მოედანზე მეოთხე მატჩი გამართეს და მესამედ დამარცხდნენ. ამჯერად მათი მეტოქე თბილისის საბურთალო გახლდათ.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა და მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-15 წუთზე გავიდა. გონსალვეში-იმნაძის კომბინაცია გოლად ღაშა შინდაგორიძემ აქცია.

დინამო ბევრს ეცადა, კარგი მომენტები ჰქონდათ კვასოვს, შონიასა და კვანტალიანს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ფეხბურთელებს სიზუსტე არ ჰყოფნიდათ.

აღსანიშნავია საბურთალოელთა მწვავე კონტრშეტევები. მათი მხრიდან განსაკუთრებით გიორგი ხარაიშვილი და ვაგნერ გონსალვეში აქტიურობდნენ.

ასეა თუ ისე, თბილისურმა კლუბმა მძიმე ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში პოზიციები განიმტკიცა.

სამტრედია-კოლხეთი 1:1

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 სამუშია (7), 1:1 კოვტალიუკი (9)

სამტრედია: მიგინეიშვილი, მთივლიშვილი, სანდოხაძე, რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი, ჩაგელიშვილი (ბელოვი 45, ხაბეიშვილი 89), ბერიაშვილი, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, დათუნაიშვილი, სამუშია

კოლხეთი: სიკაჩი, კილასონია, გოგონავა, კერძეკაძე, დაფე (ბუხაიძე 90), ოტიენო, ჯანელიძე, კოვტალიუკი, კორობკა (ჟიშკარიანი 79), ბოლქვაძე, კილასონია

საინტერესო შეხვედრა გაიმართა სამტრედიაში, სადაც ფოთის კოლხეთს სტუმრობდა და ფრედ 1:1 ითამაშა.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა და სახიფათო მომენტები ორივე გუნდის კართან მრავლად შეიქმნა.

გოლები შეხვედრის სტარტზევე გავიდა.

ანგარიში მე-7 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. საჯარიმოს მისადგომებიდან მოჭრილი დარტყმით გურამ სამუშიამ გაიტანა.

ფოთელებმა წონასწორობა 2 წუთში აღიდგინეს. გიორგი ჯანელიძის მოწოდებული კუთხურის შემდეგ ყველას მიკოლა კოვტალიუკმა დაასწრო და თავური დარტყმით გაიტანა.

მიუხედავად მრავალი მცდელობისა, შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გასულა და გუნდებმა თითო ქულა გაინაწილეს.

დილა-ლოკომოტივი 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1, 0:2 სიხარულიძე (23პ, 43)

დილა: მუჯრიშვილი, ეტოუ (ტარავალიე 61), ფოფხაძე (მაჩაიძე 7), პაპავა, რაზმაძე, რიბეირო, წიქარიძე, ქარქუზაშვილი, კირკიტაძე, კვახაძე (დერეტი 46), ნუბიო

ლოკომოტივი: თევდორაძე, ჭანტურია, მენთეშაშვილი (ჩიტეიშვილი 54), სიხარულიძე, დიასამიძე, ხიდეშელი, გაბაძე, არველაძე (სამურკასოვი 75), რეხვიაშვილი, უბილავა, არდაზიშვილი (კიკნაძე 68)

მატჩი არც ისე მაღალ ტემპში წარიმართა, მაგრამ გულშემატკივარმა რამდენიმე საინტერესო მომენტი მაინც იხილა.

ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა. შეტევის მარჯვენა ფლანგზე ვატო არველაძემ მეტოქე ტექნიკურად ჩამოიშორა, საჯარიმოში შეჭრილი შემტევი კი მცველმა წესების დარღვევით შეაჩერა და გიორგი ყრუაშვილმა პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ირაკლი სიხარულიძემ გაიტანა და ლოკო დააწინაურა.

გორელები გათანაბრებას შეეცადნენ და რამდენიმე მომენტიც შექმნეს, თუმცა ვერაფერს გახდნენ და ტაიმის მიწურულს ბურთი კვლავ საკუთარ კარში მიიღეს. 44-ე წუთზე სიხარულიძემ დუბლი გაიფორმა.

მეორე ნახევარში ტერიტორიული უპირატესობა დილამ მოიპოვა და ლოკომოტივი ძირითადად კონტრშეტევებზე მოქმედებდა. საბოლოოდ თბილისელებმა თავი კარგად დაიცვეს და ხუთმატჩიანი წაგებათა სერია მნიშვნელოვანი გამარჯვებით შეწყვიტეს.

ლოკოსთან დაპირისპირება ზივ ავრაჰამ არიესთვის გორის დილას მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბოლო აღმოჩნდა. ებრაელმა სპეციალისტმა მატჩის დასრულების შემდეგ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო(თბ)	16	12	1	3	35-10	37
2.ტორპედო	16	10	4	2	25-10	34
3.სამტრედია	16	8	3	5	21-18	27
4.ლოკომოტივი	16	7	3	6	29-20	24
5.ჩიხურა	16	7	2	7	20-23	23
6.საბურთალო	16	7	1	8	20-19	22
7.დილა	16	4	7	5	15-17	19
8.დინამო(ბთ)	16	5	1	10	14-23	16
9.კოლხეთი	16	4	4	8	16-26	16
10.შუქურა	16	1	4	11	12-41	7

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 13 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 10; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) – 9; მამია გავაშელიშვილი (ლოკომოტივი), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) 8-8.

რეალმა ისტორია გადაწერა

იუვენტუსი-რეალი 1:4

კარდიფი. მილენიუმი

0:1 რონალდუ (20), 1:1 მანჯუკიჩი (27), კაზემირო (61), 1:3 რონალდუ (64), 1:4 ასენსიო (90)

იუვენტუსი: ბუფონი, ბარძალი (კუადრადო 66), ბონუჩი, კიელინი, დანი ალვეში, პიანიჩი (მარკიზიო 71), ხედირა, ალექს სანდრო, დიბალა (ლემინა 78), მანჯუკიჩი, იგუაინი

რეალი: ნავასი, კარვახალი, რამოსი, ვარანი, მარსელო, კროოსი (მორატა 89), კაზემირო, მოდრიჩი, ისკო (ასენსიო 82), ბენზემა (ბეილი 77), რონალდუ

გაძევება: კუადრადო (84)

ჩემპიონთა ლიგის ფინალში აღბათ ბევრი გულშემატკივრობდა იუვენტუსს. უფრო სწორად – ჯანლუიჯი ბუფონს, რომელიც უდიდეს სიმპათიას იწვევს ნებისმიერი ქვეყნისა და თუ ნებისმიერი გუნდის ფანებში. თუმცა, მატჩმა გვანახა, რომ ახლა თვალს ვადევნებთ ეპოქას, რომელიც რეალის დომინირებით მიმდინარეობს.

რეალმა შეძლო იმის გაკეთება, რაც ვერ მოახერხა ბარსელონამ მაშინ, როდესაც თავად დომინირებდა ევროპაში – ჩემპიონთა ლიგა აქამდე ორჯერ ზედიზედ არავის მოეგო და ეს სამეფო კლუბმა მოახერხა.

მადრიდელები არანორმალურ ფორმაში იმყოფებიან და უკვე ზედიზედ 65 მატჩში მოახერხეს თუნდაც 1 გოლის გატანა.

და მაინც, რეალს მატჩის ნახევარი გაუჭირდა. დასაწყისში აქტიური იუვენტუსი იყო, რომელიც მომენტს მომენტზე ქმნიდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავად გაეშვა. ერთია, ტურინელებმა მალევე მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და თამაშიც ასეთივე, თანაბარ რიტმში გაგრძელდა. ტაიმიც ასე მორჩა და მატჩში ინტრიგა დარჩა.

მე-2 ტაიმის დასაწყისიდანვე რეალი თანდათან ზრდიდა უპირატესობას. იუვენტუსი კარგავდა ჟინს, სიახლეს. მასიმილიანო ალეგრიც რატომღაც არ ჩქარობდა რამე შეეცვალა მისი გუნდის ქმედებებში. როდესაც ამის გაკეთება დაიწყო, ტურინელები უკვე კედელთან იდგნენ.

მადრიდელებმა 3 წუთში 2 გოლი გაიტანეს, რითიც, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს მატჩის ბედი. ყველაფერი კი მაშინ გაირკვა, როდესაც სერხიო რამოსი მსახიობურად წაიქცა და მსაჯს მოედნიდან კუარდადო გააგდებინა.

მერე იყო მე-4 გოლი და ტურინელთა მიერ წაგებული მე-7 ფინალი – რთული ბედი აქვს ბებერ ქალბატონს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კრიშტიანუ რონალდუ

პორტუგალიელი სხვა ფეხბურთელების ფონზე დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ სწორედ მისი 2 გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი. მან გახსნა ანგარიში და მანვე ლურსმანი ჩააჭედა ტურინელებს, როდესაც ანგარიში 3:1 გახდა.

პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი 12 გატანილი გოლით ზედიზედ მეხუთედ გახდა ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი. აღსანიშნავია, რომ რონალდუმ 10 გოლი მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ შეხვედრებსა და ფინალურ მატჩში გაიტანა.

რონალდუ გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის 3 ფინალში შეძლო გატანა. პორტუგალიელმა წლევანდელი ფინალის გარდა 2008 და 2014 წლის ფინალებში შეძლო თავის გამოჩენა.

რონალდუმ მეოთხედ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, რომელიც ასევე ოთხჯერ აქვთ მოგებული ანდრეს ინიესტასა და კლარენს ზეედორფს. აქვე უნდა ითქვას, რომ ხავიმ, მესიმ, პიკემ და ეტოომ, მართალია, ოთხჯერ შეძლეს თასის აღმართვა, მაგრამ მხოლოდ 3 ფინალში ითამაშეს.

ზინედინ ზიდანი:

– არავის მოუგია ჩემპიონთა ლიგა ზედიზედ ორჯერ, ჩვენ კი ეს შევძელით. ჩვენ შევქმენით ისტორიული დღე, მაგრამ ამ დროს ვხვდები, რომ შემდეგი წელი უფრო რთული იქნება. ჩვენ დიდი გუნდი ვართ და ჩვენ ეს დავიმსახურეთ, რაც არ იყო ადვილი მისია.

მე მიყვარს ფეხბურთი, მიყვარს სამწვრთნელო საქმე, ჩემი დღევანდელი წარმატების გასაღები რეალის შემადგენლობაა, რომელმაც საოცარი სულისკვეთება გამოავლინა. პირველ ტაიმში არ ვფლობდით უპირატესობას, თუმცა შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად ჩვენ მხარეს გადმოვიდა, ვითამაშეთ ჩვენი ფეხბურთი და გავიტანეთ 4 გოლი იუვენტუსის კარში. ეს არ იყო ადვილი.

ვერ გეტყვით, რომ მთელი ცხოვრება რეალში დავრჩები, მაგრამ აქ ყოფნითა და მუშაობით დიდ სიამოვნებას ვიღებ, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცა.

მასიმილიანო ალეგრი:

– ჩემმა ფეხბურთელებმა საოცარი სეზონი ჩაატარეს. მათით ვამაყობ. დიდებული პირველი ტაიმი ჩავატარეთ და მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით. ფეხბურთელებს მხოლოდ მადლობას ვეტყვი. მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში ვერ მოვახერხეთ თავის დაცვა, ნაკლოვანებებზე შემდეგ სეზონში ვიზრუნებთ, დაშვებულ შეცდომებს გავითვალისწინებთ.

რეალმა მეორე ტაიმი ბრწყინვალედ ჩაატარა, პირველი ტაიმის შემდეგ უფრო სწრაფი ფეხბურთი აჩვენა და დაამტკიცა, რომ გამარჯვებას იმსახურებდა. ჩემს გუნდს კიდევ შეუძლია განვითარება. უნდა გავაუმჯობესოთ ტექნიკური უნარები.

შედეგები

3 ივნისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ფინალი

იუვენტუსი-რეალი 1:4

თუჩქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ბაშაქშეჰირი 0:1
ადანა-ფენერბახჩე 1:3
ბეშიქთაში-ოსმანლი 4:0
გალათასარაი-ქონია 2:1
რიზე-ალანია 1:0
ტრაბზონი-ბურსა 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-იორებრო 0:1
ესტერსუნდი-სუნდსვალდი 3:1
იონჩოპინგი-მალმიო 1:2

ნორვეგია. ელიტსერია

ტრომსო-ვალერენგა 2:4
სტაბეკი-ლილესტრიომი 2:4

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ლახტი-ვაასა 0:0
კემი-ჯჯკ 1:1
სეინეოკი-ინტერი 0:3

ჩოგბურთი

ჰოლან გახოსი

კაცები

ლოპესი-ჩილიჩი 1:6,3:6,3:6
ედმუნდი-ანდერსონი 7:6,6:7,7:5,1:6,4:6
მარეი-დელ პოტრო 7:6,7:5,6:0
ვერდასკო-კუევასი 6:2,6:1,6:3
ვავრინკა-ფონინი 7:6,6:0,6:2

ქალები

კორნე-ა.რადვანსკა 6:2,6:1
ვესნინა-სუარეს ნავარო 4:6,4:6
სე-გარსია 4:6,6:4,7:9
კასატკინა-ჰალეპი 0:6,5:7
კ.ვოზნიაცკი-ბელისი 6:2,2:6,6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

როგორ შევარჩიოთ მტკიცე კერამიკული გვირგვინები

ეკა ირემაშვილი

პავლე ხუჯაძე

რას ნიშნავს მტკიცე კერამიკული გვირგვინები, რა თავისებურებები აქვს ულითონო გვირგვინებს და რას ნიშნავს დაპრესილი კერამიკის გვირგვინები? – ამ თემებზე ნინო ბერიძის ორთოდონტიული ცენტრის ორთოპედ-იმპლანტოლოგი პავლე ხუჯაძე საუბრობს.

პავლე ხუჯაძე:

– კერამიკული გვირგვინების გამოჩენით ესთეტიკურმა სტომატოლოგიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რადგან ამ ორთოპედიულ ნაკეთობებს ჰქონდა მაქსიმალურად სიახლოვე ბუნებრივ კბილებთან, თუმცა კერამიკის კონსტრუქციებს ჰქონდა ერთი დიდი მინუსი – ის არ იყო საკმარისად მტკიცე.

ამ პრობლემის გადაჭრა ემაქსის გვირგვინების გამოჩენით მოხდა. ემაქსის ყველა გვირგვინი მზადდება მინაკერამიკისგან ლითიუმის დისილიკატის ფუძეზე, რომელიც მთლიანად ბიოთავსებადია.

– რაში მდგომარეობს ამ გვირგვინის უპირატესობა?

– ამ გვირგვინის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური და ხარისხიანი ერთეული პროთეზია.

– რამდენად მტკიცეა ისინი?

– მასალისა და დამზადების ტექნოლოგიის წყალობით ამ გვირგვინების სიმტკიცე აღწევს 500 მეგაპასკალს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია ფაიფურის ნაკეთობებისთვის.

– როგორი ტიპის კბილის აღსადგენად გამოიყენება ეს გვირგვინები?

– დაპრესილი კერამიკის გვირგვინები ერთნაირი წარმატებით გამოიყენება ყველა ტიპის კბილის აღსადგენად. ჩვეულებრივი კერამიკის გვირგვინები არასაკმარისი სიმტკიცის გამო, როგორც წესი, არ გამოდგება საღეჭი კბილების აღსადგენად.

– რამდენად არის შესაძლებელი ამ გვირგვინების გამოყენება ესთეტიკური რესტავრაციებისთვის?

– ეს გვირგვინები ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია ესთეტიკური რესტავრაციების დასამზადებლად. დამზადების საფირმო ტექნოლოგიის წყალობით ექიმს შეუძლია არეგულიროს გვირგვინის გამჭვირვალობა და ფერი. შედეგი ნატურალური კბილის სრული შესატყვისობაა.

– როგორია ბიოშეთავსება?

– ისინი ხასიათდება კარგი ბიოშეთავსებით და აბსოლუტურად ჰიპოალერგიულია.

– მკურნალობის რა ეტაპებია გასავლელი?

– ემაქსგვირგვინებით კბილების აღდგენა პრაქტიკულად არ განსხვავდება კბილების კლასიკური პროთეზირებისაგან, რომელიც ჩვეულებრივ ტარდება რამდენიმე ეტაპად: პირველადი კონსულტაცია, რენტგენოლოგიური სურათები, მკურნალობის ჩვენებისა და უკუჩვენების გარკვევა, კბილების პრეპარირება გვირგვინებისთვის, ანაბეჭდის აღება და თაბაშირის მოდელის დამზადება, ცვილის რეპროდუქციის დამზადება, გვირგვინის დამზადება დაპრესილი კერამიკის ტექნოლოგიით, კონსტრუქციის დამინანქრება და შეღებვა.

საბოლოო ეტაპია მზა კონსტრუქციის მორგება და ფიქსაცია.

კალეიდოსკოპი

აშშ-ში ქურდებმა შემთხვევით ბანკომატში ჩადებული ფული დაწვეს

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ ევერეტში ქურდებმა, რომლებიც ბანკომატის გატეხას ცდილობდნენ, შემთხვევით მასში არსებული ფული დაწვეს.

პოლიციაში ვარაუდობენ, რომ დამნაშავეებმა კედელსა და ბანკომატის კორპუსში ხვრელის გასაკეთებლად სპეციალური მოწყობილობა გამოიყენეს. როდესაც მათ კონტეინერამდე მიაღწიეს, რომელშიც ფული ინახებოდა, მოწყობილობის ცეცხლის ენამ ფულს ცეცხლი წაუკიდა.

ადგილობრივი ბანკის დირექტორმა ჯონ დიქსონმა განაცხადა, რომ მთელი ფული, რომელიც ბანკომატში იდო, დაიწვა და ქურდებმა ვერაფერი წაიღეს.

შრი-ლანკაში ნაპირზე გამორიყული დელფინები გადაარჩინეს

შრი-ლანკაში დაახლოებით 20 შავი დელფინი-გრინდი გადაარჩინეს, რომლებიც ნაპირზე გამორიყნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გრინდები გამოირიყნენ პლაჟზე, რომელიც ქალაქ ტრინკომალის პორტის მახლობლად, კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ადგილობრივებმა და მეზღვაურებმა ერთობლივი ძალით მოახერხეს ხმელეთზე აღმოჩენილი ცხოველების ისევ ზღვაში დაბრუნება.

– ეს მეტად დელიკატური ამოცანა იყო, მათი წყალში დაბრუნება ისე რომ მათთვის ზიანი არ მიგვეყენებინა, – განაცხადა შრი-ლანკის სამხედრო ფლოტის წარმომადგენელმა ჩამინდა ვალაკულუგემ, – მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თვითნასწავლმა მცხობელმა ქონება ტორტების გაყიდვით დააგროვა

ავსტრალიის შტატის ახალი სამხრეთ უელსის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელმაც დამოუკიდებლად ისწავლა ცხობა, ტკბილეულის გაყიდვის საკუთარი ბიზნესი გახსნა.

34 წლის კაილა დენიელსმა ცხობის სწავლა დაახლოებით შვიდი წლის წინ დაიწყო. 2016 წელს სამი შვილის დედამ მოახერხა, დესერტების საკუთარი კაფე გაეხსნა. ქალისგან ნამცხვრებს ცალს ოთხ დოლარად ყიდულობენ. კაილა თავის თანამშრომლებთან ერთად დღეში 400 ცალ ნამცხვარს აცხობს, თუმცა ისინი შუადღემდე უკლებლივ იყიდება.

დენიელსმა ნამცხვრების ცხობა საკუთარი შვილებისთვის დაიწყო. მათ დღესასწაულებისთვის უჩვეულო ტორტებს უმზადებდა. ქალმა საკუთარი გვერდი შექმნა ფეისბუქზე, სადაც მის მიერ შექმნილი ნუგბარის ფოტოსურათებს აქვეყნებდა და მათი მნახველები შეკვეთებს აძლევდნენ. წელს ავსტრალიელი ქალბატონი მეორე საკონდიტროს გახსნას გეგმავს.

„მალიბუს მაშველების“ პატივსაცემად ლონდონში რეკორდული ბურთი გაბერეს

პლაჟის უზარმაზარი ბურთი, რომელიც ლონდონში ფილმ „მალიბუს მაშველების“ პრემიერის ღონისძიების დროს გაბერეს, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

ზოლებიანი ბურთი, რომლის დიამეტრი 19,97 მეტრს შეადგენს, წარწერით „მალიბუს მაშველები კინოში“, თემზაზე მცურავ პლატფორმაზე მოათავსეს. გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელმა სოფია გრინაკრმა ბურთი გაზომა და დარწმუნდა, რომ ის იმავე მასალისგანაა დამზადებული, რომელსაც ჩვეულებრივი პლაჟის ბურთებისთვის იყენებენ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მსახიობები ზაკ ეფრონი, ალექსანდრა დადარიო და ჯონ ბასი. სწორედ მათ მიიღეს სერტიფიკატები, რომლებშიც ახალი რეკორდია დადასტურებული.

აქამდე ყველაზე დიდ ბურთად ითვლებოდა ბურთი, რომლის დიამეტრი 15,82 მეტრს შეადგენდა, რომელიც ოთხი წლის წინ პოლონეთის ქალაქ ჩლუხუვში გაბერეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
5 ივნისისთვის

ვერძი – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **კურო** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ლომი** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **სასწორი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **თხის რქა** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **მერწყული** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

სპორტი

ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა სუპერფინალი გამარჯვებით დაიწყეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფაჩულიამ, ჯამში, 14 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში მისი მონაგარი 8 ქულა, 6 მოხსნა და 2 ჩაჭრა იყო. ზაზამ 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 1 საჯარიმო კი ააცილა.

გოლდენ სტეიტი 1:0 დაწინაურდა, ფინალური სერია კი 4 გამარჯვებამდე გრძელდება. მორიგი მატჩი კვლავ ოკლენდში გაიმართება.

თორნიკე შენგელიას ბასკონია ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალურ სერიაში 1:2 ჩამორჩა. ბასკონიელებმა სერიის მორიგი შეხვედრა ვალენსიაში გამართეს და ადგილობრივ გუნდთან 69:75 დამარცხდნენ.

ქართველი ფორვარდი ბასკური კლუბის სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა, მოედანზე 29 წუთი გაატარა და სტუმართა რიგებში უმაღლესი სარგებლიანობის კოეფიციენტი (13) ჰქონდა.

შენგელიამ 7-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო და 11 ქულას 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

შენგელიას კლუბს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს, რადგანაც კიდევ 1 წაგების შემთხვევაში სეზონის დასრულება მოუწევს. ნახევარფინალის მორიგი, მე-4 მატჩი ისევ ვალენსიაში გაიმართება.

მაიკლ დიქსონი კი საბერძნეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების მფლობელია. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნაურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა ათენის აეკს პაოკთან ულიდერა და ბრინჯაოს სერია მშრალი ანგარიშით – 3:0 მოაგებინა.

სერიის საწყის 2 მატჩში დიქსონს იდენტური მონაგარი (11 ქულა, 9 პასი) ჰქონდა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. საქართველოს ნაკრების წევრმა მოედანზე 33 წუთი გაატარა და 19 ქულა, 4 მოხსნა, 6 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. დიქსონმა 10-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო.

დიქსონმა საკლუბო სეზონი დაასრულა და მცირე დასვენების დრო ექნება, ივლისის მე-2 ნახევრიდან კი საქართველოს ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდება და 2017 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას დაიწყებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სიტყვიანი





1. ესტონელი მოჭადრაკე ქალი; 2. „... ჩარკვიანს“ (ჯანსუღის ლექსი); 3. სუსტი არაყი; 4. პურეული მცენარე; 5. შავი ზღვისპირა კურორტი; 6. ალაბედზე მოქმედება; 7. სწრაფი საჭადრაკო პარტია; 8. ფულადი სახსრები; 9. ანტიკური ეპოქის წინასწარმეტყველი ქალი; 10. პატარა ჭრელი მგალობელი ჩიტი; 11. მარტო ძველქართულად; 12. ქალაქი ავსტრალიაში; 13. ტურგენევის მოთხრობა; 14. ზედმეტი, უსარგებლო რამ; 15. ბატონო (ინგლისურად); 16. ქალაქი-პორტი იაპონიაში; 17. მირეი ...; 18. მერყევი, არამდგრადი; 19. ზმნის წარსული დრო; 20. სოფელი საგარეჯოს რაიონში; 21. ბატონო (პოლონურად); 22. დროშა; 23. ვაგონების სადგომი; 24. ჩანთოსანი დათვი; 25. ავტო ან მოტოშეჯიბრება; 26. შემოსავლიანი, „თბილი“ თანამდებობა; 27. კომბოსტოს სახეობა; 28. მამალი ცხენი; 29. ... მანიანი; 30. ოსმალეთის სულთნის სასახლე; 31. ფიზიკოსი ... ბორი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალილო; 4. კოალა; 5. მელაძე; 6. იმელმანი; 8. ანტვერპენი; 10. გლინტვეინი; 11. პერგამონი; 14. „ჰიტროუ“; 15. ქაჯაია; 16. „სარკე“.

თარაზულად: 1. თერჯოლა; 4. „კიმიგაიო“; 7. ლიანა; 9. ფოლგა; 12. ვერსია; 13. ატაშე; 14. ჰერეთი; 17. ოპიუმი; 18. ოლიგოფრენია; 19. დიონისე; 20. ტეკილა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პიკასო; 2. ალუპკა; 3. „ენისელი“; 4. კარდიფი; 5. გოტარდი; 7. ტერტერა; 11. ისტრი; 12. ფიორდი; 13. ძილქუში; 14. კაფსულა; 15. „დავითი“; 17. ფესახი; 19. სიტე.

თარაზულად: 5. გავიალი; 6. ესენცია; 8. კურუ; 9. მენჯი; 10. რონოდა; 11. იედო; 13. ძაბუტონი; 14. კატაი; 16. სფერო; 18. სექტა; 20. ლენტეხი; 21. თარხანი.

მარიამ როინიშვილი ოპერაში იმღერებს

მომღერალი მარიამ როინიშვილი 6 ივნისს მთავარ პარტიას იმღერებს გაეტანო დონიცეტის ოპერაში „სიყვარულის ნექტარი“, სადაც მას პარტნიორობას გაუწევენ ირაკლი მურჯიკნელი, გიორგი წამალაშვილი, გივი გიგინეიშვილი და თამთა კორძაია.

ორმოქმედებიან კომიკურ ოპერას ალბერტო ვერონეზი უდირიჟორებს.

მარიამ როინიშვილი:

– დადგა დღე ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც ასე ველოდი. დიდი პასუხისმგებლობაა, იმღერო დებიუტი შენი ქვეყნის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, სადაც უდიდესი ქართველი თუ უცხოელი მომღერლები მდგარან... ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი, ვიმღერო ამ საოცარ სცენაზე ჩემს არაჩვეულებრივ კოლეგებთან, გუნდთან, ორკესტრთან ერთად.

ილია მეორის საგალობელს ესპანეთში კათოლიკეები ასრულებენ

ილია მეორის საგალობელი კირიელეისონი დიდი მოწონებით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც.

ესპანეთში მოღვაწე ქართველმა კომპოზიტორმა ეთერ ბოჭორიშვილმა ესპანელ კათოლიკეებს მისი უწმინდესობის საგალობელი შეასწავლა და მათ ორღანის თანხლებით შეასრულებინა.

შესრულების ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში ნინო ონიანმა გაავრცელა და განაცხადა, რომ სულ მალე ესპანელი კათოლიკეები ქართველი კომპოზიტორის დახმარებით ილია მეორის მეორე საგალობელს, ალილუიასაც, შეისწავლიან.

ლაშა ღლონტი: „ჩვენი ემიგრაცია გაასმაგებული პატრიოტული გრძნობებით დამუხტული ძალიან დიდი სიმდიდრეა“

მომღერალი ლაშა ღლონტი კოლეგებთან ერთად საზღვარგარეთ ბევრს მოგზაურობს და იქ მცხოვრები ქართველებისთვის კონცერტებს მართავს. მომღერალს მიაჩნია, რომ ჩვენი ემიგრაცია გაასმაგებული პატრიოტული გრძნობებით დამუხტული ძალიან დიდი სიმდიდრეა:

– ჩვენი ემიგრაცია არის გაასმაგებული პატრიოტული გრძნობებით დამუხტული ძალიან დიდი სიმდიდრე, უზარმაზარი რესურსი, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს საქართველოში და დაეხმაროს ჩვენს პატარა ქვეყანას თავისი გამოცდილებით, პროფესიონალიზმით, პატრიოტიზმითა და არნახული შრომისმოყვარეობით.

გენეტიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენ ისინი ისე უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის გადამრჩენლები, ვისწავლოთ მათგან ბევრი რამ და მადლობა უნდა გადავუხადოთ ყველაფრისათვის.

მხოლოდ ასე, სიყვარულითა და პროფესიონალიზმით, ერთიანი ძალებით შევქმნით იდეალურ ქვეყანას!

გურამ ქართველიშვილი: „თბილისი ფაითაკარანი გახდება“



ისტორიკოსი გურამ ქართველიშვილი მოსალოდნელ საფრთხეებზე ალაპარაკდა, რომელიც საქართველოს უკავშირდება:

– თუ ვინმემ არ იცის, იცოდეს, რომ არაბთა ხალიფატის რუკაზე თბილისი მათ განაპირა ქალაქადაა მონიშნული და ფაითაკარანი ჰქვია მუსლიმანური ტრადიციით. განსაკუთრებით ჩვენი დედაქალაქის ირგვლივ მიწების გამყიდველ პოლიტიკოსთა ნამოქმედარს გამოძიება სჭირდება...

არადა, თუ აქ არაბული მოსახლეობა ჩაასახლეს მასობრივად, ბედოვლათი ქართველები ჯერ დედაქალაქის გარეშე დავრჩებით, შემდეგ – ქვეყნის. თბილისი ფაითაკარანი გახდება და საქართველოსაც მოუძებნიან ახალ სახელს.

მიმდინარეობს ქვეყნის მიზანმიმართული ისლამიზაცია და ამის სათავეში კვლავ „პროდასავლური“ პოლიტიკური ძალები დგანან. გამოვფხიზლდეთ, ქვეყანას ვკარგავთ!

ელტონ ჯონის კონცერტის ბილეთების ფასი 550 ლარიდან იწყება

შემოდგომაზე საქართველოში მსოფლიო ვარსკვლავი ელტონ ჯონი ჩამოვა და კონცერტს ბლექ სი არენაზე გამართავს.

6 გრემის მფლობელი ბრიტანელი მუსიკოსის კონცერტზე დასასწრები ვიიპი ბილეთების ფასი 550 ლარიდან იწყება და 700 ლარამდე ადის. ინფორმაცია კომპანია „ისთერნ პრომოუშენმა“ გაავრცელა, რომელიც კონცერტის ორგანიზატორია.

ელტონ ჯონი ნახევარ საუკუნეზე მეტია მსოფლიო ესტრადაზეა და მას მილიონობით გაყიდული ალბომი და ერთგულ მსმენელთა უდიდესი არმია ჰყავს.

ბრიტანელი მუსიკოსის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ინფორმაცია ადრეც გავრცელდა, თუმცა მაშინ ელტონ ჯონის საქართველოში ვიზიტი ვერ განხორციელდა.

არმაზის ხევში უძველესი ხანის ნამოსახლარი აღმოაჩინეს



არმაზის ხევის პიტიახშთა რეზიდენციის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, გათხრების შედეგად, არქეოლოგებმა უძველესი ხანის ნამოსახლარი აღმოაჩინეს.

ობიექტი ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეების ნამოსახლარია. არქეოლოგიური სამუშაოები არმაზის ტერიტორიაზე 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობს. გამოვლენილია ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეების პიტიახშთა სასახლის დასავლეთი ნაწილის მინაშენებიც.

გათხრილია ახალი წელთაღრიცხვის IX-XII საუკუნეების საცხოვრებელი კომპლექსის კიდევ ერთი მონაკვეთი. აღმოჩენილია ქვის ხანის უძველესი კულტურული ფენები და XX საუკუნის 30-იან წლებში წარმოებული არქეოლოგიის შედეგად გამოვლენილი ობსიდიანის დასამუშავებელი სახელოსნოს მცირე ნაშთებიც.

არმაზის ხევის არქეოლოგიური ობიექტები ამჟამად შემოზღუდულია და საველე მუზეუმად ერთიანდება. კვლევებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ახორციელებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ტოკიოში აბანომ ხალხის მისაზიდად „სკოლა შიშვლებისთვის“ გახსნა



ტოკიოს სენტო (საზოგადოებრივი აბანო) „ხინოდეიუში“ გაიხსნა „სკოლა შიშვლებისთვის“. ამ ინფორმაციას როიტერის სააგენტო ავრცელებს.

გაკვეთილები პირდაპირ აბანოში ტარდება. იმისთვის, რომ ლექციაზე მოხვდეს, დაწესებულების კლიენტს 460 იენის გადახდა მოუწევს. ყოველთვე ახალი კურსი იწყება. აპრილში შეისწავლეს ტრადიციული იაპონური კომედია, მაისში აითვისეს თამაში გო, ხოლო ივნისში უსახლკარო კატებთან ბრძოლის მეთოდებს შეისწავლიან.

დაწესებულების ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ეს წამოწყება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აბანოების მიმართ ინტერესის დაცემის შეჩერებას. აბანოს მენეჯერ იუჩი ტამურის თქმით, ბევრი ახალგაზრდა იაპონელი საერთოდ არ არის ნამყოფი სენტოში, ვინაიდან ახლა უკვე სააბაზანო ოთახი თითქმის ყველა სახლშია. ამის შედეგად კი აბანო „ხინოდეიუში“ თუ ადრე ყოველდღიურად 500 ადამიანი შედიოდა, ახლა 100 ადამიანიღა თუ შედის ერთი დღის განმავლობაში.

სენტო ტრადიციული იაპონური აბანოა, რომელშიც ხშირად მთელი ოჯახი მიდის.

შეყვარებულებიანი საჰაერო ბურთი ხეებს შეეჯახა

კანადაში საჰაერო ბურთი ხეებს მას შემდეგ შეეჯახა, რაც მისმა ერთ-ერთმა მგზავრმა შეყვარებულს ხელი სთხოვა.

ინციდენტი ალბერტას პროვინციაში მოხდა. საჰაერო ბურთის კალათაში 10 მგზავრი იმყოფებოდა. ქალაქ ედმონტონის მცხოვრებმა სტივენ მარტინმა შემთხვევით ისარგებლა და თავის მეგობარ გოგონას ხელი სთხოვა. გოგონამ თანხმობით უპასუხა, რის შემდეგაც საფრენმა აპარატმა დაბლა დაშვება დაიწყო.

დაშვება ძლიერმა ქარმა გაართულა, რომელმაც უმართავი საჰაერო ბურთი ხეებისკენ გაიტაცა. კალათა, რომელშიც მგზავრები იმყოფებოდნენ, ხეების ტოტებს შეასკდა და რამდენიმე ადგილას დაზიანდა. ამის შემდეგ კალათა ხეების ტოტებისგან გათავისუფლდა და ორ წუთში მიწას შეეხო, თუმცა არ გაჩერებულა და ქარმა რამდენიმე მეტრი მდელოზე გაათრია, სანამ საბოლოოდ არ გადაყირავდა.

– სიმართლე გითხრათ, ამ ფრენით კმაყოფილი ვარ, ვინაიდან თავგადასავალივით გამოგვივიდა, – განაცხადა მარტინმა, – ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ ვთხოვე ხელი შეყვარებულს, ახლა მოსაყოლი და გასახსენებელი მართლაც გვექნება.

შველმა ნუკრი დათვის თავდასხმისგან იხსნა

ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ ფლაგსტაფის მცხოვრებმა ქალბატონმა შენონ სევილმა შავი დათვის შვლის ნუკრზე თავდასხმის მომენტი ვიდეოზე გადაიღო.

დათვი შვლის ნუკრს იმ დროს მიეპარა, როდესაც შველი სულ სხვა მხარეს იყურებოდა. ნუკრის ხმამ შვლის ყურადღება მიიპყრო, მტაცებელმა მისი მიახლოება

შენიშნა და სასწრაფოდ ხეზე აძვრა. როგორც კი შველი ისევ მიტრიალდა, დათვი მიწაზე დაეშვა და ისევ ნუკრისკენ გაიწია. ამჯერად შველმა მეტი სიმარჯვე გამოიჩინა, დათვს თავს დაესხა და წინა ჩლიქები ჩასცხო. ამის შემდეგ ცხოველები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.

სევილი ამტკიცებს, რომ დათვი იმ დროს შენიშნა, როდესაც საკუთარი ავტომობილით ტყეში მიდიოდა.

– ვიცოდი, რომ ცხოვრებაში ასეთი შანსი ადამიანს ერთხელ გეძლევა და ცხოველების სხვა მოყვარულები სათანადოდ შეაფასებენ ამ კადრებს, – განაცხადა შენონმა.

მის მიერ ფეისბუქში გამოქვეყნებულმა ვიდეომ 2,6 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

გაერთიანებული საემიროების ტრასა აქლემებმა გადაკეტეს

მამრმა და მდედრმა აქლემებმა, რომლებმაც პირდაპირ დუბაი-რას-ელ-ჰაიმის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე გადაწყვიტეს შეწყვილება, უზარმაზარი საცობი შექმნეს. მძღოლები ჩერდებოდნენ და ყოველივეს ტელეფონების კამერებით აფიქსირებდნენ.

ცხოველებმა შესაწყვილებლად დუბაიდან ტრასის მე-40 კილომეტრი აირჩიეს. მანქანების მძღოლები ხმამაღლა ასიგნალებდნენ, თუმცა ამან ცხოველები ვერ შეაშინა.

– ეს ერთ-ერთი ყველაზე გიჟური რამ იყო, რაც კი ოდესმე საკუთარი თვალით მინახავს. აქ ორი წელია ვცხოვრობ და ეს ყველაზე უჩვეულო იყო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

– ხალხს შესაძლოა შეექმნას გარკვეული შთაბეჭდილება იმაზე, თუ როგორია არაბული ქვეყნები, თუმცა ასეთ რამეს მაინც იშვიათად შეხვდები, – აღნიშნა მეორე თვითმხილველმა.

ფლორიდელმა ოჯახმა საკუთარ აუზში ალიგატორი აღმოაჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატში მცხოვრებმა ოჯახმა საკუთარი სახლის აუზში ორმეტრიანი ალიგატორი აღმოაჩინა. მათ დახმარებისთვის პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას მიმართეს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში ალიგატორის დაჭერის ამსახველი ვიდეოჩანაწერი საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნეს.

ორ დღეში ვიდეორგოლი 300 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
5 ივნისი

06.00 მუსიკა პირველზე **07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 03.30** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 01.30** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 02.30** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ჟელვეტი**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**ჩემპიონი პოკერისტები**"

08.00 დოკ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **09.00** დოკ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება" **10.00** დოკ/ფ "ელიოტ ნესი ალ კაპონეს წინააღმდეგ" **11.00** დოკ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**ჰედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტრ ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "მარი კიური" **15.00** დოკ/ფ "ფერების სამყარო" **17.00** დოკ/ფ "ჩირლიდერები" **18.00** დოკ/ფ "შტაინერების ოჯახი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაბარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია**" **00.15** მხ/ფ "**ფედერალური დაცვა**" **02.05** მხ/ფ "**წინასწარმეტყველი**" **04.25** მხ/ფ "**როგორ გადავაგოროთ შოგა**"

06.00, 18.30 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**აფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას სიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** X-ფაქტორი **00.30** დოკ/ფ "სალომეს ანბანი"

08.00 ან/სერ. ავატარი **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**სპეცრაზმი**" **00.35** მხ/ფ "**სპეცრაზმი- ცეცხლოვანი ბრძოლა**" **02.10** მხ/ფ "**გაბეხილი ისარი**"

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-ღირსი მამა ალექსი შუშანია **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "ბილიკების ენა" **11.10** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**ლესი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.50** სპექტაკლი "**მზრუდის მოობანილი ბარათები**" I, II **17.30** კონცერტი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "მყნობა-გველესიანი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** დ/ფ "სინას საგანძური" I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** პატერიკი-დაფარული მცნობელობის შესახებ **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან- "მარიამ დედოფალი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ივერიის ეკლესია "ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** სათავეებთან "მემედ აბაშიძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია"მაშა და დათვი" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ირი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა** " **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **0.00, 2.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4253
- ევრო — 2.7205
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1180
- 100 რუსული რუბლი — 4.2785

ამინდის პროგნოზი 5 ივნისისთვის

1 ივნისიდან

ონორე
დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

6 ივნისიდან

ონორე
დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

8 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინსტაგრამის ლონდონელ ვარსკვლავს საკუთარი მკერდი აწუხებს

ლონდონელი ქალბატონი, რომელიც სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკმაო პოპულარობით სარგებლობს, საკუთარი დიდი მკერდის გამო შევიწროებას განიცდის.

30 წლის ეშლი ჯეიმსმა, რომელიც დიჯეიდ მუშაობს და საკუთარი ბლოგი მიჰყავს, განაცხადა, რომ მას რეგულარულად ტანჯავდა პანიკური შეტევები. ქალის თქმით, საკუთარი მკერდის გამო ის თავს უხერხულად 14 წლის ასაკიდან გრძნობდა.

მასწავლებლები გოგონას უკრძალავდნენ ისეთი ტანსაცმლის ჩაცმას, რომელიც საწინააღმდეგო სქესის ყურადღებას მიიპყრობდა.

– ადრეული ასაკიდან ჩამინერგეს საკუთარი მკერდისა და ფორმის გამო სირცხვილი. გარშემომყოფნი ჯერ კიდევ მანამდე მათვალიერებდნენ როგორც სექსუალურ ობიექტს, სანამ თავად მივხვდებოდი, თუ რაში იყო საქმე, – განაცხადა ეშლიმ.

ჯეიმსი ასევე იტანჯებოდა საკუთარი სხეულის გამო, ვინაიდან ის თავს მეტისმეტად ტანსრულად მიიჩნევდა, თუმცა ახლა უკვე მას თავისი ფიგურა ეამაყება. ასევე ის ქალებს მოუწოდებს, არ შერცხვეთ საკუთარი სექსუალურობის გამო და თავი ნებისმიერი სახით კომფორტულად იგრძნონ.

ინსტაგრამში ჯეიმსის გვერდს 89 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

უზარმაზარმა ნიანგმა მეთევზეები შეაშინა

დასავლეთ ავსტრალიის შტატში უზარმაზარმა ნიანგმა შეაშინა მეთევზეები, რომლებიც მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ.

მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში რამდენიმე დღის წინ საზოგადოება Northbound Charters-მა გამოაქვეყნა, რომელიც თევზჭერითაა დაკავებული. ვიდეორგოლი უკვე ცხრა ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ვეზირმა მეფეს მოახსენა:

– მეფევ ბატონო, გველეშაპს მოშივდა.

– რას ჭამს?

– მხოლოდ ქალწულებს.

– საცოდავი, შიმშილით მოკვდება.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემს მეზობელს პიროვნული შეურაცხყოფისთვის სასამართლოში უნდა ვუჩივლო.

– რატომ?

– ბეჰემოთი მიწოდა.

– ეგ როდის მოხდა?

– სამი წლის წინ.

– და მერე ახლა უჩივი?

– გუშინ ზოოპარკში ვიყავი და ბეჰემოთი ვნახე!

•••

სპორტული კომენტატორი აცხადებს:

– ჩვენს სპორტსმენებს ადვილად იცნობთ მაისურებითა და ტრუსებით. დანარჩენ მოთხილამურეებს უფრო თბილად აცვიათ...

•••

კაცი წყურვილმა შეაწუხა, ერთ სოფელში შესულმა, პატარა ბავშვს უხმო და წყალი სთხოვა. ბავშვმა პატარა ქოთნით ცივი ლუდი გამოურბენინა. კაცმა სიამოვნებით დალია და ბავშვს ეკითხება:

– რა გემრიელია. ბევრი გაქვთ?

– ძალიან ბევრი.

– მაინც?

– გუშინ ვირთხა რომ ჩავარდა, დედა კასრში ჩავიდა მის ამოსაყვანად და მკერდამდე სწვდებოდა.

კაცს ქოთანი ხელიდან გაუვარდა, ქვაზე დაეცა და გატყდა.

– ვაიმე, ბიძია, ეს რა ქენით, ამაღამ რაში უნდა მოვისაქმო?

•••

მამაკაცი გოგონას ეუბნება:

– გოგონი, თქვენს სურათს ვერ მაჩუქებთ?

– რატომ? – კეკლუცად ეკითხება გოგონა.

– კარადაზე მივაკრავ და ბავშვები კანფეტების მოსაპარად აღარ მიეკარებიან.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– აღბათ, 26 მაისს მთელი კვირა იქეიფებ, ხო?

– აბა, როგორ გინდა, ჩვენი წინაპრები წლები იბრძოდნენ მაგ დღისთვის და შენ გინდა, რომ მე ერთ დღეში დავამთავრო დღესასწაულის აღნიშვნა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი
სამი მკვლელობა ძველ თბილისში
პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა სუპერფინალი გამარჯვებით დაიწყეს

საკალათბურთო ლეგიონის ამბები

ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 2017 წლის ფინალური სერია ისტორიულია საქართველოსთვის. სწორედ ამ წელს პირველად ისტორიაში პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ფინალში ქართველმა კალათბურთელმა იასპარეზა. ზაზა ფაჩულიამ ნბა-ს ფინალური სერიის პირველი მატჩი ჩაატარა და გოლდენ სტეიტის გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო.

გოლდენ სტეიტ უორიორსმა ფინალური სერია 22-ქულიანი გამარჯვებით გახსნა. კევინ დიურანტის, სტეფ კარისა და დრეიმონდ გრინის უბადლო თამაშს ზაზა ფაჩულიას რიგიანი გარჯაც დაერთო და ოკლენდელებმა ისე სძლიეს ლებრონ ჯეიმსის, კაირი ირვინისა და კევინ ლავის კლივლენდს, რომ კითხვის ნიშნები არ დაუტოვებიათ – 113:91.

მატჩის ბედი, ფაქტობრივად, მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელშიც ქართველმა ცენტრმა 8 წუთი ითამაშა და 4 ქულა, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. გოლდენ სტეიტმა კი პერიოდი 33:20 მოიგო და დიდი შესვენებისთვის დაფიქსირებული 8-ქულიანი უპირატესობა 21-მდე გაზარდა. ბოლო პერიოდი ფორმალობად იქცა: მასპინძლები იოლად მივიდნენ გამარჯვებამდე და ფინალურ სერიაში მათ მხარეს მყოფი მოედნის უპირატესობა შეინარჩუნეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ჯოხვოხდი



თარაზულად: 4. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 6. სპილენძის სასულე საკრავი; 8. მთა აფრიკაში; 10. ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი; 11. სუსტი არაყი; 12. ციტრუსი; 14. მზის სისტემის პლანეტა; 17. საფოსტო ნიშანი; 19. ძველებური საბრძოლო იარაღი; 20. პოლონური წარმოშობის საბალო ცეკვა; 21. იგივეა, რაც თაღი; 22. განის ხერხი; 23. მაღაზია.

შვეულად: 1. მსახიობი; 2. ჩრდილოამერიკელი ინდიელების ფეხსაცმელი; 3. შავიზღვისპირა დასახლება ზუგდიდის რაიონში; 5. თავისუფალი გლეხები XIV-XVIII სს. ინგლისში; 7. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 9. ძველებური ესპანურ-იტალიური ცეკვა; 13. სარტყმელი საკრავი; 15. ძვირფასი ქვა; 16. ყველასთვის სავალდებულო წესი; 18. ხორციანი კორკოტი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ